# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 16 აპრილი, 2013 წელი.

№70 (7197)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## საქართველო 08.08.08.


③

ვიცი რა, როგორი „მაგარია“ მიშა, როგორც კი გამოძიება ხელს ჩაავლებს, ყველაფერს დაფქვავს

## განათლების ჩაგვრა საქართველოში ⑤

## სააკაშვილი მიჩვეულს ვერ გადაეჩვია?! ④


ყოფილი ხელისუფლება ნაცმოძრაობის რეინკარნაციის მიზნით კვლავაც ტოტალურად უსმენს ყველას?

## ამბავი ქალალდებით ბიურო-კრატიული გუნდაობისა ⑥



## ვჭამოთ თუ არა „ნიკორას“ სოსისი? ⑨



## ორასლარიანი ფორთოხალი, თვალებხატულა პროვოკატორი და... ⑪

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..


PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პრემიერ-მინისტრი

# ბიძინა ივანიშვილი სამუშაო ვიზიტით გერმანიაში იმყოფება



**მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი გერმანიის მარშალის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობს.**

**დელეგაციაში, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს, ასევე შედიან: პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი და პარლამენტის წევრი თინა ხიდაშელი.**

აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში მონაწილეობენ გერმანიის მარშალის ფონდის დირექტორი ქრეიგ კენედი, ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ტომას ჰენდრიკ ილვესი, შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი, ლატვიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარს რინკიევიჩი, ლატვიის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი, ლატვიის სეიმის ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვალდას ზატლერსი, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში ტომას მელია, USAID-ის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს ადმინისტრატორის ასისტენტი ჰეიჯ ალექსანდერი, ლატვიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური მრჩეველი იევა კუპჩე, უსაფრთხოებისა და განვითარების ინსტიტუტის დირექტორი სვანტე კორნელი და „კოპენ ჯგუფის" ვიცე-პრეზიდენტი დანიელ ფატა.

ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● მაყვალა კორდინატორის განცხადებით, ის უერთდება 19 აპრილის აქციას ქართველი ერის სახელით და მოითხოვს მშობლიური ვაზისუბნის 25-ე კვარტალის, მე-6 ა კორპუსის მცხოვრებლების დედაბუდიანად დაპატიმრებას, რომლებსაც თავის ხელით დაურიგა, 10-10 ლარი და ისენი მაინც გაიყიდენ არჩევნებზე

● 19 აპრილის აქციაში მონაწილეობის მისაღებად A პუნქტიდან დაიძრა ტრაილერების კოლონა.

● ტრაილერი თურქული სიტყვაა და „პერედოზიროვკას" ნიშნავს.

● კაცო, ამ რაღაც ვიდეოებს მაინც ნუ იღებენ და გადაცემებს კიდე, ჩაუშლიან საკუთარ თავს 19 აპრილს. „პროგრესულობის" მადლმა დატოვა ამ საბრალო „შემოქმედებითი" ჭინთვების გამო, არ ეცოდებათ თავი? ვააა, მე უნდა დავიცვა კიდე? ერთადერთი „კოზირი" ჰქონდათ, ძაან სვეცკები, გემოვნებიანები და წინწასულები ვართო და აჰა, ეგ ტოტიც მოიჭრეს!

● 30 წელი უნდა ყოფილიყო აქ მიშა და ძმანი მისნი — ასეთი გახლდათ გეგმა. მიშამ გეგმას გადააჭარბა და 9 წელში შეასრულა 30-წლიანი გეგმა;

● BBC-ს ცნობით 19 აპრილის აქციას ელტონ ჯონი შეუერთდება ქმარ-შვილთან ერთად...




● გიორგი გაბედავა: „მაქვს ინფორმაცია, რომ ნაციონალები ოჯახებს არიდებენ საქართველოს". უახლოეს მომავალში საქართველოში დაიწმინდება ჰაერი და გაუმჯობესდება ეკოსისტემა.

მადლობა უფალს. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ...

● გადამრევს ეს ჯაბა ექიმი რად უნდოდა ამისთვის ექიმის დიპლომის აღება? მაგალითად მე სულაც არ ვარ ექიმი და ეს „განაჩენი" დიდი ხნის წინ გამოვიტანე. ჯაბა ექიმი: „ჩიორა თაქთაქიშვილს სჭირს ფსიქოზი. მიშა თუ მამალი გიჟია, ჩიორა არის დედალი გიჟი.... ქ-ნი ჩიორა შეპყრობილია და იტანჯება ფსიქოზით..." საწყალი, რა დღეში ყოფილა პარტია!

● მეც ვუერთდები ბესიკის ამ მოწოდებას, მეტიც, ვინც იმ დღეს, 19 აპრილს, პარლამენტთან მივა, მიშას და ვანოს ხელშემწყობად ჩავთვლი და ვერასოდეს ჩამოირეცხავს ამ „წოდებას"... მეგობრებო, ნუ გახდებით თაკოს ქმრის ბინძური ზრახვების თანამონაწილე.

● ბესიკ ტაბატაძე: „ძმებო! მეგობრებო! გთხოვთ, 19 აპრილს არც ერთი ჩვენგანის ფეხი არ იყოს რუსთაველის გამზირზე! ნუ მივცემთ ნაციონალებს პროვოკაციის მოწყობის საშუალებას! მარტო დავტოვოთ და როგორც შეიკრიბებიან, ისე დაიშლებიან!"

● მახსოვს ჩვ.წ. მდე 2003 წლამდე გიორგობა დღეს ფართო წრეში ვქეიფობდით , ერთმა სუფრის წევრმა, თემურმა...განაცხადა, რომ დაბადების დღე ჰქონდა, მეორემ მამა შეუკურთხა, გიორგობა დღეს თემური რაფერ დაგარქვაო, ატყდა გაწევ-გამოწევა...... დღეს სიყვარულის დღეა და თან მერაბიშვილის დაბადების დღე, ღირსი არაა, მარჩენალი კამაზი რომ ვუგინო, სხვებთან ერთად.... სიყვარულის დღეს გაჩენილ კაცისთვის ვანო რამ დაგარქმევინათ!!!! დაგერქმიათ პლატონი, ეროსი ან თუნდაც პორნოსი, კამა სუტრა მაინც..... მაგრამ არამც და არამც ვანო!!!! თან მან დაამტკიცა, თავის სათნო გულით, რომ სიყვარულისთვისაა გაჩენილი!!

● სიყვარულის ულამაზეს დღეს გილოცავთ , მიყვარხართ ჩემო მეგობრებო აჩუქეთ ერთმანეთს რაც შეიძლება მეტი სითბოოოოოოოოოოოოოოო!!!!

**გია გაბრიჭიძე**

როტაცია

# 42-ე ბატალიონმა სამოქმედო არეალი ავღანეთში სრულად გადაიბარა

**ჰელმანდის პროვინციაში ქართველი ჯარისკაცები ISAF-ის მისიას ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად ექვსი თვის განმავლობაში შეასრულებენ.**

როგორც „ინტერპრესნიუსს" თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, 42-ე ბატალიონის მთავარი ამოცანა ოპერაციის რაიონში ამბოხებულთა ძალების გაუვნებელყოფა, ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების ძალების განვითარების მხარდაჭერა, უსაფრთხოების ზონების გაფართოება და აშშ-ის საზღვაო ქვეითებთან თანამშრომლობა იქნება.

42-ე ბატალიონმა როტაციის წესით III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონი ჩაანაცვლა. ოფიციალური გადაბარების ცერემონიალი ბაზა „შირგაზზე" გაიმართა. ღონისძიებას ნოუზადის რაიონის პოლიციისა და ავღანური ეროვნული არმიის მაღალჩინოსნებიც დაესწრნენ.

გადაბარების ცერემონიალზე სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელობის მიერ III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის მიერ გაწეული სამსახური წარმატებულად შეფასდა. ოფიციალური მონაცემებით, 32-ე ბატალიონმა სამოქმედო არეალში ჩატარებული სხვადასხვა სამხედრო და ჰუმანიტარული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად შეზღუდა მოწინააღმდეგის მოქმედებები, გააუმჯობესა ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება, გაზარდა მათი ნდობის ხარისხი როგორც კოალიციური ძალების, ასევე ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებისა და ადგილობრივი მთავრობისადმი.



სამინისტროს ინფორმაციით, სპეციალური მომზადება 42-ე ბატალიონმა ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში" გაიარა. ბატალიონის პირადი შემადგენლობა გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსშიც იმყოფებოდა, სადაც სამხედრო წვრთნებს აშშ-ის გაერთიანებული მრავალეროვანი მზადყოფნის ცენტრში გადიოდა. ჯარისკაცების მომზადების დონე და მათი მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად დადებითად შეაფასეს როგორც ცენტრის ექსპერტებმა, ისე ამერიკელი საზღვაო ქვეითების ტრენერთა და მრჩეველთა ჯგუფმა.

გადადგომა

# ირაკლი ჩიქოვანი კომისიის თავმჯდომარეობიდან გადადგა

**ირაკლი ჩიქოვანი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა. როგორც კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია ყურაშვილმა განაცხადა, ჩიქოვანის განცხადება თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ კომისიაში გუშინ შევიდა.**



მისივე განმარტებით, ირაკლი ჩიქოვანი განცხადებაში მხოლოდ თავმჯდომარის უფლებამოსილებისგან ჩამოშორებას ითხოვს, თუმცა კომისიის წევრად, სავარაუდოდ, დარჩება.

შესაბამისად, როგორც ხატია ყურაშვილმა განმარტა, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ვაკანტური ადგილი არ არის.

რაც შეეხება ახალი თავმჯდომარის არჩევის წესს, ამ მოვალეობას კომისიის დანარჩენი ოთხი წევრიდან ერთ-ერთს საქართველოს პრეზიდენტი აკისრებს.

დღეის მდგომარეობით, ირაკლი ჩიქოვანის გარდა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები არიან: სოფიო ბრიტანჩუკი, აკაკი სიხარულიძე, ირაკლი მოსეშვილი და კარლო კვიტაიშვილი.

**ინტერპრესი**

NDI-ს კვლევის მიხედვით

# გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა

**შეკითხვაზე საქართველოში არის თუ არა დემოკრატია, დადებითი პასუხი რესპონდენტთა 43-მა პროცენტმა გასცა , 38 პროცენტი ფიქრობს, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის, 10-მა პროცენტმა შეკითხვაზე პასუხი არ იცის, 1-მა პროცენტმა კი პასუხზე უარი განაცხადა.**

ამასთან, გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, საქართველო უკვე დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას. შესაბამის შეკითხვაზე, დადებითი პასუხი გამოკითხულთა 36-მა პროცენტმა გასცა. გამოკითხულთა 33 პროცენტი კი ფიქრობს, რომ საქართველო ჯერ არ არის დემოკრატიული ქვეყანა, მაგრამ ამ მიმართულებით ვითარდება.

რაც შეეხება იმას, რას ნიშნავს რესპონდენტებისთვის დემოკრატია 51 პროცენტის აზრით, ეს არის სიტყვის თავისუფლება, 44 პროცენტის აზრით, თანასწორობის დაცვა, შემდეგ ადგილზე კი ადამიანის უფლებები მოდის.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ვინ დააფრთხო ომის გამოძიების იდეამ

**ომი**

***ეს იყო აბსურდული ომი, ავანტიურა, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილისთვის ციფრს — 08.08.08. საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა, — აცხადებს ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში პეტრე მამრაძე და ყველა დეტალს, რომელიც კი 2008 წლის ომს შეეხება, ერთ მარტივ, თუმცა, საყურადღებო პრიზმაში აქცევს: „პატრიოტიზმი ნაძირლების უკანასკნელი თავშესაფარია“, როგორც ეს სამუელ ჯონსონმა თქვა.***

**— ბატონო პეტრე, ომი, რომელზეც ტალიავინის კომისიამ საკმაოდ რეზონანსული დასკვნა დადო, კვლავ გახდა განსჯისა და დისკუსიის მიზეზი. თქვენც ამ მოვლენებზე წიგნი დაწერეთ — „ომი“. მოკლედ რომ ახსნათ, როგორია ომის თქვენეული შეფასება?**

— გამოჩენილმა პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა, ჟურნალისტებმა 2008 წლის აგვისტოშივე, განსაკუთრებით შემოდგომაზე დაწერეს სრული სიმართლე იმაზე, რაც მოხდა. სააკაშვილის მისამართით დასავლეთში არ იშურებდნენ „ეპითეტებს“, როგორებიცაა: უგუნური, შეშლილი და ა.შ. სააკაშვილმა ლანგარზე მიართვა პუტინსა და პუტინის ჩეკისტურ მთავრობას საქართველოს ოკუპაციის შესაძლებლობა. მართალია, ტალიავინის დასკვნა არ აძლევს რუსეთის მთავრობას არავითარ შეღავათს, მაგრამ ევროპელები ამის შემდეგ ჩემთან პირად საუბრებში არაერთხელ აცხადებდნენ და ასევე აკეთებდნენ საჯარო განცხადებებსაც — ერთი ადამიანის გამო ნუ დავსჯით საქართველოს და დავეხმაროთო...

**— ისინი ომს აბრალებდნენ სააკაშვილის უგუნურობას თუ მის დანაშაულზე მიუთითებდნენ?**

— უგუნურობას, და გავიხსენოთ, რას აცხადებდა სააკაშვილი 2007 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, რომ **„ცხინვალის რეგიონის დაბრუნება არის რამდენიმე კვირის ან ერთი-ორი თვის ამბავი, მე ეს დანამდვილებით ვიცი, რუსეთში მაგრძნობინეს, რომ მათ ცხინვალი არ აინტერესებთ, მათ ეს რამდენჯერმე წამოსცდათ“**. ჩეკისტები ასეთი წამოცდენებისა და დეზინფორმაციის გავრცელების ოსტატები არიან. როცა ჩვენი ჯარები ცხინვალის რეგიონში შედიოდნენ, ცეცხლი წყდებოდა, მეორე მხრიდან კი საპასუხო ოპერაციები არ ტარდებოდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ თითქოს რუსეთს ეს რეგიონი არ აინტერესებდა... რეალურად, ეს იყო ხაფანგი, რასაც დიდი მიხვედრა არ უნდა დასჭირვებოდა.

**— სამაგიეროდ, ყოფილი ხელისუფლების წამომადგენლები ამბობენ, რომ მათ გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი არა აქვთ და, მეტიც, მათი გადასახედიდან, იმის თქმა, რომ ომი საქართველომ დაიწყო, საბოლოოდ მიგვიყვანს არაღიარების პოლიტიკის შემობრუნებისკენ და რუსეთს საკმარისზე მეტ ბერკეტს მისცემს თავისი პოზიციების გასამყარებლად საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.**

— პანიკურად ეშინიათ გამოძიების, ნუ ამბობთ, რომ ომი საქართველომ დაიწყოო. ეს უზნეო ადამიანები შირმად იყენებენ საქართველოს სახელს. მერედა, ვინ ამბობს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ან სააკაშვილმა დაიწყო... **პაატა დავითაიამ, როცა ის ხელმძღვანელობდა 2008 წლის ომის საგამოძიებო კომისიას, ჟურნალისტს ასეთი რამ უთხრა (ეგონა, რომ კამერა გამორთული იყო): ამათი დაწყებულია ყველაფერი, რად უნდა ამას გამოძიებაო და შემდეგ ეს ჩანაწერი „კავკასიის“ ეთერით გადაიცა.** თუმცა, ის ვიცესპიკერად აირჩიეს, რადგან საბოლოოდ სწორედ ისეთი დასკვნა დადო, რომელიც სააკაშვილს ხელს აძლევდა. მე სხვა არავინ ვიცი, რომელიც ამბობს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, თუმცა პირდაპირ არც დავითაიას უთქვამს. ახლა კი გაჰყვირიან ცრუპატრიოტები, რა საჭიროა გამოძიებაო. „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა, ტალიავინის კომისიაში აღნიშნულია, რომ სააკაშვილმა ცხინვალი ისეთი იარაღით დაბომბა, რომელმაც მშვიდობიანი მოსახლეობისა და მებრძოლების გარჩევა არ იცის, მაგრამ იმის გამო, რომ ცენტრალური ტელევიზიები ხელისუფლებას ემსახურებიან, ამას კარგა ხანს ვერ გაიგებს საქართველოს მოსახლეობაო. ჩვენ გვახსოვს **უწმინდესმა რომ ბრძანა, ეს ომი არ უნდა მომხდარიყო, და შეიძლებოდა მისი თავიდან აცილებაო,** რასაც ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაეთანხმა.

**— თქვენი აზრით, რატომ არის აუცილებელი აგვისტოს მოლენების გამოძიება, რას მისცემს ეს საქართველოს?**

— კანონი მოითხოვს, რომ დანაშაული გამოძიებულ იქნას. გარდა ამისა, ახალი მთავრობა ამ გზით გაემიჯნება იმ დიდ დანაშაულს, სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურას, რომელიც ჩაიდინეს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა. სხვაგვარად ჩვენ ვერ დავდგებით იმ სწორ, თუმცა, ძალიან რთულ და გრძელ გზაზე, რომელიც საბოლოოდ საქართველოს გამთლიანებასთან მიგვიყვანს . გამთლიანება იწყება ადამიანების სულსა და გონებაში, ჩვენ მოგვიწევს აფხაზებსა და ოსებს ფართოდ გავუღოთ კარები, რისკენაც მოგვიწოდებენ ჩვენი დასავლელი მეგობრები.

**— ანუ უნდა ვაღიაროთ სიმართლე, და რა არის ეს სიმართლე ბოლოს და ბოლოს, ვინ დაიწყო ომი?**

— ამას არ ჰქვია ომი. სააკაშვილი მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე. ლაშა ჟვანიამ , რომელიც

## საკრალური 08.08.08.




## ვიცი რა, როგორი „მაგარია“ მიშა, როგორც კი გამოძიება ხელს ჩაავლებს, ყველაფერს დაფქვავს

მაშინ საგარეო ურთიერთობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, აღნიშნა, სჯობს, ვთქვათ, რომ ჩვენი მოქმედებები ემსახურებოდა ამ რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას, როგორც ეს ყურაშვილმა განაცხადა, ვიდრე ის, რომ ვთქვათ ტყუილი. პოლიტიკურად ეს მართლაც მომგებიანი განცხადება იყო. მაგრამ ჩვენ გვახსოვს სარკოზის ასეთი განცხადება: სააკაშვილის მხრიდან შეცდომა იყო სამხედრო ინტერვენციის განხორციელება, რაზეც რუსეთმა ჭარბი რეაქციით უპასუხა. იმ ვითარებაში ეს იყო სამხედრო-პოლიტიკური პროვოკაცია, პუტინის ოცნების ასრულება.

**— არც ახლა არის გვიან, შეიძლება რუსეთმა ამ გამოძიებიდანაც რამე სარგებელი კვლავ გამონახოს?**

— ახალი და სწორი იქნება საქართველოს ხელისუფლებამ გამოძიების შემდეგ სრული სიმართლე თქვას, დაამატოს დეტალები, რაზეც ტალიავინის კომისიას ხელი არ მიუწვდებოდა, დაეთანხმოს ტალიავინის დასკვნას და აღიაროს. ამის შემდეგ მოხდება საინტერესო რამ: რუსეთის მთავრობის ყველა არასწორი მოქმედება, რასაც ის წლების განმავლობაში სჩადიოდა, ამ დასკვნაში არის აღწერილი. ჩვენ უკვე გვექნება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ლეგალური პრეტენზიები.

როგორც კი აღიარებს ახლი მთავრობა ძველი ხელისუფლების დანაშაულს, მაშინვე აღდგება ჩვენდამი საერთაშორისო საზოგადოების ნდობა. ისინი მიხვდებიან, რომ ახლი მთავრობა ობიექტურად უდგება საკითხს. მიხვდებიან, რომ ვიმსახურებთ დახმარებას, აღარ ჩაკეტავენ ჩვენთვის ნატოს კარებს. აფხაზები და ოსებიც დაინახავენ, რომ ახალი მთავრობა აღიარებს თავის წილ დანაშაულს და დაიწყება ნდობის აღდგენა. ასე თანდათანობით გაჩნდება ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივა.

**— და მაინც, როგორი იქნება რუსეთის პოზიცია?**

— ეს ხელს შეუწყობს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი უკან წაიღებს ამ ორი რეგიონის აღიარების პოლიტიკას. ჩვენ უნდა აღვივსოთ სტრატეგიული მოთმინებით და ველოდოთ ურთიერთობის აღდგენას, რომელსაც შეიძლება თაობები დასჭირდეს. ამიერიდან სულ უშეცდომოდ რომ ვიმოქმედოთ მომავალში, მაშინაც კი რთული იქნება ვითარების გამოსწორება. ჩვენ სააკაშვილმა თავისი უგუნურობით ჩიხში მოგვამწყვდია, სიმართლის დადგენა კი დაგვეხმარება ჩიხური ვითარებიდან გამოსავლის ძებნაში.

**— რა ელოდება მიხეილ სააკაშვილს?**

— მე არასოდეს მითქვამს, რომ მან დაიწყო ომი, კაცი, რომელიც შიშით ფორთხავდა გორში, ომს ვერ დაიწყებდა. მაგრამ მან უგუნური პოლიტიკის შედეგად განახორციელა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა. ამის გამო, აგრეთვე აღვირახსნილი ელიტარული კორუფციისა და სხვა დანაშაულებების გამო, აუცილებლად უნდა აგოს პასუხი და დაისაჯოს კანონის სრული სიმკაცრით.

**— ის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებს, ასეთ შემთხვევაში რამდენად არის შესაძლებელი ობიექტური გამოძიების ჩატარება?**

— როცა პრეზიდენტი არ იქნება, მაშინ ველარ შეძლებს ასეთი კატეგორიული ტონის შენარჩუნებას. ვიცი რა, როგორი „მაგარია“ მიშა, როგორც კი გამოძიება ხელს ჩაავლებს, ყველაფერს დაფქვავს... თუკი ამ საქმეს ჰააგა არ დასჭირდება და ჩვენი ხელისუფლება შეძლებს ობიექტური გამოძიების ჩატარებას, ეს ძალიან ასწევს ქვეყნის იმიჯს.

**— ტერიტორიული პრობლემები გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე სააკაშვილი ჩიხში შეგვიყვანდა...**

— ყველამ უნდა აგოს პასუხი. ყველაფერი ერთად ვერ მოესწრება, მაგრამ ეტაპობრივად გამოძიება აუცილებლად დაიწყება. ჩვენ ხომ ვიცით, რას ჩადიოდა კიტოვანი და მისი ბანდა აფხაზეთში. მაშინაც შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება. თუმცა, ახლა დღის წესრიგში არ დგას 22 წლის წინანდელი ამბების გამოძიება, არამედ მთავარია, სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების ნამოქმედარის გამოძიება, მათ ერის წინაშე ჩაიდინეს დანაშაული, რისთვისაც უნდა გასამართლდნენ და დაისაჯონ.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად მიუკერძოებელი და ობიექტური იქნება გამოძიება?**

— ამის დიდი იმედი მაქვს.

**— წინა მოწვევის პარლამენტის საგამოძიებო კომისიის დასკვნას რა ბედი ელის და უნდა დადგეს თუ არა მათი პასუხისმგებლობის საკითხი?**

— ყველამ უნდა აგოს პასუხი, ვინც ხელს აფარებდა დანაშაულს. პარლამენტარი ფიცს დებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომელიც რატომღაც მერე ავიწყდებათ. დღევნდელ უმცირესობაში ყველა ფიცის გამტეხია და აუცილებლად მოუწევთ პასუხისგება. მათ უპირველესად საზოგადოებამ უნდა გამოუტანოს განაჩენი.

**— ჩვენი საუბრიდან ჩანს, რომ თქვენთვის ერთი შეხედვით ყველაფერი ცხადია, მაგრამ ხომ არ ელოდებით რაიმე გაუთვალისწინებელს, მოულოდნელობებს?**

— ვერ გეტყვით, ყველაფერი გამოძიებაზე არის დამოკიდებული.

**— ხომ არ წავა სააკაშვილი რამე ახალ პოლიტიკურ ავანტიურაზე?**

— პოლიტიკურად ის ყველაფერზე წამსვლელია. მისი მხარდამჭერების ლეგენდა ასეთია: საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ გმირი სააკაშვილის მეთაურობით მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრა, და გადაარჩინა საქართველო. როგორც თავშივე აღვნიშნე, **უცხოეთში ამის არ სჯეროდათ ჯერ კიდევ 2008 წლის შემოდგომაზე... უბრალოდ, ამ გამოძიებით ყველაფერი უფრო ცხადი და ნათელი გახდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ბოლოს და ბოლოს სიმართლე დადგინდება...**

ესაუბრა
**თეა მოსია**

**ალიან-ჩალიანი**

## აგვისტოს ომის გამოძიება ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებაა

**იუსტიციის** მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, წინა ხელისუფლებამ აგვისტოს ომთან მიმართებაში „ყველაზე ნაკლებად გამოიძია“ მიმართულება, სადაც მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლებოდა დამდგარიყო.

„იკვეთება, რომ გამოსაძიებელია ხუთი-ექვსი მიმართულება. მათ აირჩიეს რამდენიმე და ამ მხრივ, საქმე წინ არის. არ ვიცით, ყველა რატომ თანაბრად არ გამოიძიეს, ალბათ, ვერ მოასწრეს ან არ ჰქონდათ პოლიტიკური ნება, — აცხადებს წულუკიანი.

ამასთან, იუსტიციის მინისტრი არ გამორიცხავს, რომ თუ საქართველოში არ აღმოჩნდნენ საკმარისად პროფესიონალები ან არ გამოავლინეს პოლიტიკური ნება, ხელისუფლება იძულებული გახდეს, აგვისტოს ომის საქმე საერთაშორისო დონეზე განიხილონ.

— აგვისტოს ომის გამოძიება ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებაა. საქართველო არის ომის მონაწილე მხარე და როდესაც მხარე გავხდით, ავიღეთ გარკვეული ვალდებულებები. ჰააგის სასამართლოში, პროკურორთან შესულია დიდი ინფორმაცია, სადაც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები ჩივიან იმის თაობაზე, რომ ამ ომში სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს, სავარაუდოდ, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ან სხვა დანაშაული, რაც ომისდროინდელ დანაშაულად კვალიფიცირდება. ჩვენი ვალდებულებაა, ეს საქმე არ გავხადოთ საერთაშორისო ტრიბუნალის განსახილველი და ჩვენს პრობლემებს თვითონვე მოვუაროთ იმ ვალდებულებების ფარგლებში, რომლებიც გვაქვს. ჩემი და მთავარი პროკურორის მიზანია, აგვისტოს ომი გამოვიძიოთ თვითონვე, მაგრამ თუ ეს ვერ შევძელით, არ აღმოვჩნდით საკმარისად პროფესიონალები, ან პოლიტიკური ნება არ გვექნა საამისოდ, იძულებული ვიქნებით, დავემორჩილოთ ჰააგის პროცესს და ეს საქმე განიხილონ საერთაშორისო დონეზე, — აღნიშნავს იუსტიციის მინისტრი. რაც შეეხება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვას, წულუკიანის თქმით, თუ საქმის გარემოებები ამას მოითხოვს „ისიც“ დაიკითხება, — იუწყება ინტერპრესი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაუჯერებელი, მაგრამ აშკარა!



# სააკაშვილი მიჩვეულს ვერ გადაეჩვია?!

## ყოფილი ხელისუფლება ნაცმოძრაობის რეინკარნაციის მიზნით კვლავაც ტოტალურად უსმენს ყველას?

**სააკაშვილის ხელისუფლება რომ ტოტალურად უსმენდა ყველას, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე ამასთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში გამოძიებაც მიმდინარეობს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, თითქოსდა, უკვე ოპოზიციაში მყოფ პრეზიდენტს და მის გუნდს უკანონო მოსმენებზე ხელი აღარ მიუწვდებათ, რადგან, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ (მაგალითად, კანონთან შეუსაბამობას), ამას სათანადო აპარატურა სჭირდება. თუმცა for.ge-სთვის ცნობილი გახდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ახლაც განაგრძობს უკანონო მოსმენებს.**

კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილის პირად დაცვას აქვს მოსასმენი აპარატურა, რომლითაც ახორციელებს უკანონო მოსმენებს და აგროვებს კომპრომატებს. ეს არის მცირე ზომის (დაახლოებით ჩემოდნის ზომის) მოწყობილობა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს, ერთდროულად მოუსმინოს 300 აბონენტს. მოწყობილობა სააკაშვილის დაცვის სამსახურმა ჯერ კიდევ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს შეიძინა, მაგრამ ის არ ასახულა დაცვის სპეციალური სამსახურის ბალანსზე. ამ აპარატურის ღირებულება 1 მილიონ 200 ათასი დოლარია.

წყაროს ინფორმაციით, აპარატურა შეიძინეს ისრაელში, რადგანაც ამერიკულმა კომპანიებმა უარი თქვეს აპარატურის მიყიდვაზე.

**For.ge**-ს კონფიდენციალური წყარო ამ აპარატურის დახასიათებასაც იძლევა. მისი თქმით, ეს არის მცირე მოცულობის აპარატურა, მრავალარხიანი პასიური GSM დამჭერი („პერეხვატჩიკი"), და მუშაობს ისეთ რთულ სიხშირეებზე, როგორიც არის A5 და A6. თვითონ მოწყობილობა მუშაობს შემდეგი სისტემით – აპარატიდან უშვებენ გზავნილს ნომერზე, რომლის მისვლის შემდეგაც იშიფრება სიხშირე და შესაძლებელი ხდება ნებისმიერი აბონენტის მოსმენა.

წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილს პირადი დაცვის შემადგენლობიდან უკანონო მოსმენებზე გამოყოფილი ჰყავს 18 ადამიანი, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში უკანონოდ უსმენენ მათთვის საინტერესო აბონენტებს და აგროვებენ კომპრომატებს.

გარდა აღნიშნული აპარატურისა, სააკაშვილმა პირადი დაცვის სამსახურში გააფორმა 7 ადამიანისგან შემდგარი ჰაკერთა ჯგუფი, რომლებიც კომპიუტერული ვირუსების საშუალებით აღწევენ პირად კომპიუტერებში და უკანონოდ იღებენ მათთვის საინტერესო ინფორმაციებს.

შესაძლოა, ამ ინფორმაციის დაჯერება ვინმესთვის შეუძლებელი იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის მმართველობის სტილს, რომელიც ტოტალურ მოსმენებს და ტერორს ემყარებოდა, ალბათ, ამ ინფორმაციის სარწმუნოობაში დაეჭვება რთული იქნება.

ჩვენ მკითხველებს აქვე შევახსენებთ, რომ ტოტალური მოსმენების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გარკვეული პერიოდის წინათ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაადასტურა, როდესაც განაცხადა, რომ სამინისტროში მისთვის გადაღებული ფარული ჩანაწერებით სავსე მთელი ჩემოდანი აღმოაჩინა. მან აღნიშნა, რომ ამას გარდა, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანისთვის გადაღებული ფარული ვიდეო თუ აუდიომასალა აღმოჩნდა.

შს მინისტრის თქმით, მათ ძალიან მძიმე კადრები აღმოაჩინეს, რის შესახებაც გამოძიება დაწყებულია და კონკრეტული პირებიც დაიკითხებიან. ამჟამად, ეს მასალები დალუქულია და უახლოეს მომავალში განადგურდება, რის შესახებაც საზოგადოებას დამატებით ეცნობება.

გარდა ამისა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მთავარმა პროკურატურამ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის რამდენიმე მაღალჩინოსანი დააკავა, რომელთა შორის იყო 18 წლის ვასილ ჯამალაშვილიც. როგორც მისი დაკავების შემდეგ გახდა ცნობილი, ჯამალაშვილი კუდ-ში მეოთხე სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. გამოძიების ინფორმაციით, ჯამალაშვილმა შექმნა კომპიუტერული ვირუსი, რომლითაც შესაძლებელი გახდა ინტერნეტმომხმარებელთა კომპიუტერებში შეღწევა, მათში დაცული ინფორმაციის მოპოვება და აუდიო და ვიდეოთვალთვალი. შექმნილი პროგრამის მეშვეობით კუდ-ის ხელმძღვანელობა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელთა კომპიუტერული სისტემებიდან იღებდა ინფორმაციას.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულმა, შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ბექა კვარაცხელიამ აღიარა, რომ კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ფარულად მოპოვებულ ყველა მასალას 2010 წლიდან ეცნობოდა.

**„ჩვენს შექმნილ ვირუსს პროგრამულად მითითებული ჰქონდა მოპოვებული ინფორმაციის მიწოდების მისამართი – მოდულის შენობის ერთ-ერთ ოთახში განთავსებული კომპიუტერების „აიპი" მისამართი, სადაც ავტომატურად იყრიდა თავს ფარულად მოპოვებული ინფორმაცია. ამ კომპიუტერებთან ხელი მიგვიწვდებოდა ექვს თანამშრომელს: მე, ავთო სოლომნიშვილს, გიორგი ჯავახიძეს, ვასილ ჯამალაშვილს, ერმალოზ ებანოიძეს და ალექსანდრე ბოცვაძეს, რომლებიც ასევე ეცნობოდნენ ფარულად მოპოვებულ ინფორმაციას. თავიდან ვუსმენდით ოპერატიულად საინტერესო პირებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც არჩევნებისათვის მზადება დაიწყო, მთელი ჩემი სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო იქით, რომ მოგვესმინა კოალიცია „ქართული ოცნების" წევრებისთვის",** – ამბობს თავის ჩვენებაში კვარაცხელია.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ასევე აღმოჩნდა, რომ პარლამენტის, სახელმწიფო აუდიტისა და სამინისტროების სერვერები თბილისში, ახალაშენებულ იუსტიციის სახლში იყო განთავსებული და სწორედ აქედან აკონტროლებდნენ ამ უწყებებს.

და ბოლოს, შეგვიძლია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც გავიხსენოთ. შეგახსენებთ, ოქტომბრის არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, სოციალური ქსელებით გავრცელდა ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის უფროსის ბესარიონ სურმავას ვიდეომიმართვა, რომელსაც „ქართული ოცნების" ლიდერების ფარული სატელეფონო ჩანაწერები ახლდა თან. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ სურმავა წინა ხელისუფლების ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს ჰყავდათ გატაცებული და ამ ჩანაწერების გავრცელებაში სერიოზული თანხაც გადაუხადეს. ამასთან დაკავშირებითაც მთავარ პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს.

**ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ფაქტებისა, რაც უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით შეიძლება ჩამოვთვალოთ. ამდენად, როგორც ჩანს, ასეთი ხერხებით ქვეყნის მართვას შეჩვეული პრეზიდენტი ამ მეთოდს ახლაც ვერ ელევა და „ნაციონალური მოძრაობის" რეინკარნაციის იმედით კომპრომატებს აგროვებს.**

**რუსიკო უშიკიშვილი**

ინფორმაცია

## ციხისძირიდან შეიძლება ციხეში მოხვდნენ

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში მცხოვრებ რამდენიმე ადამიანს წუხელ სენაკის სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. როგორც ბათუმის პროკურორის მოადგილე ზაზა მეტონიძემ განაცხადა, გამოძიება დაიწყო 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, ფიზიკური დაზიანების ფაქტზე.**

**მეტონიძემ განმარტა, რომ სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა ციხისძირში მცხოვრებ რამდენიმე ადამიანს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც სამეგრელოს მიმართულებით წავიდნენ. სენაკის სამხედრო პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ციხისძირში ერთ-ერთი თანამშრომლის ნათესავის სახლში, სადაც რამდენიმე წუთი გაჩერდნენ და წამოვიდნენ. მანქანაში იმ სოფლის მკვიდრი ორი მოქალაქე ეჯდათ, რომლებმაც სახლი მიასწავლეს. სამხედროებმა გზაში გააჩერეს მანქანა, ამ პირებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და გასროლებიც მოხდა. ამ ინციდენტის შემდეგ, გზაში მეუღლესთან ერთად მომავალ ადამიანს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ასევე, შეურაცხყოფა რელიგიური კუთხით. გარდა ამისა, გაჩხრიკეს ერთ-ერთი მოქალაქის მანქანა და წავიდნენ სამეგრელოს მიმართულებით.**

**ზაზა მეტონიძის თქმით, სამხედრო პოლიციის თანამშრომლები არიან იდენტიფიცირებულები.**

**– ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა სამხედრო მოსამსახურისთვის შეუფერებელი ქმედება ჩაიდინეს, რის გამოც ინციდენტში მონაწილე სამი სამხედრო პოლიციელი თავდაცვის მინისტრის ბრძანებით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია. სენაკის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო პოლიციელების დისციპლინა, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. მით უმეტეს, კანონის დაცვა ევალება მას, ვისაც სამხედრო ფორმა აცვია, – ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.**

**ინტერპრესი**

პოზიცია

# თავმჯდომარეთა ცვლა კი არა, მთავრობის რეორგანიზაციაა საჭირო

## ამას აუცილებლობად მიიჩნევს ზუგდიდში განთავსებული დევნილთა დიდი ნაწილი

**ზუგდიდში განთავსებული დევნილთა ჯგუფები ძალზე „მნიშვნელოვანი" საქმითაა დაკავებული – იმისათვის იბრძვიან, რომ როგორმე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გამოთავისუფლებულ „პოსტზე" თავიანთი კანდიდატურა დასვან. დევნილები იმდენ ჯგუფად არიან დაყოფილნი, რამდენი კანდიდატურაცაა წარდგენილი.**

„ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრის დავით ფაცაციას, აფხაზეთის მთავრობის ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის დალილა ხორავას, შევარდნაძის ხელისუფლების შინაგანი ჯარის ყოფილი სარდლის გია შერვაშიძის, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას მომხრეები და მხარდამჭერები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საპროტესტო აქციებს, ბრიფინგებს და შეხვედრებს ატარებენ, აგროვებენ ხელმოწერებს იმისათვის, რომ თავიანთ კანდიდატურებს გაუადვილონ ამ თანამდებობაზე მოხვედრა. თუ რამდენად გამოადგება ამ კანდიდატებს მათი მომხრეების მხარდაჭერა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ყოველივე ეს დევნილებში რომ უთანხმოებას, განხეთქილებას და დაპირისპირებას იწვევს და იმ დევნილებს აღიზიანებს, რომლებიც საერთოდ არ ერევიან ამ პროცესებში, ფაქტია.

დევნილთა ამ კატეგორიის გარდა, რომლებიც აქტიურად იბრძვიან თავიანთი კანდიდატურის გასაყვანად, მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც არც ერთ დაჯგუფებას არ მიეკუთვნებიან და მიიჩნევენ, რომ კონკრეტული პიროვნების შეცვლა არაფერს არ ცვლის და აუცილებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეორგანიზაცია.

ზუგდიდში მოქმედი აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ცენტრის" ხელმძღვანელს მურმან მალაზონიას მიაჩნია, რომ დევნილები არა ამ პრობლემით, არამედ უფრო საჭირბოროტო საკითხებით უნდა იყვნენ დაკავებულნი. **„ჩემი ორგანიზაციის და ჩემი მეგობრების პოზიციაა, რომ გავემიჯნოთ ამ პროცესებს. არანაირი აქციების თუ შეხვედრების ჩატარება რომელიმე კანდიდატურის მხარდასაჭერად არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. უფრო სწორი იქნებოდა, შევკრებილიყავით და გვემსჯელა იმ საკითხებზე, რომლებიც მრავლად არსებობს ჩვენს გარშემო. თუ ვინ დაიკავებს შემოთავაზებული კანდიდატებიდან მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას, არაა მნიშვნელოვანი. უწინარესად, უნდა მოხდეს ამ სტრუქტურის რეორგანიზაცია, რათა იგი მართლაც გახდეს დევნილთა ინტერესების გამტარებელი და არა ხელისუფლების მაამებელი. ამის შემდეგ მხარს დავუჭერთ იმ პიროვნებას, რომელიც წარადგენს სამოქმედო პროგრამას, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის მთავრობის მუშაობას. ეს პიროვნება უნდა იყოს წონადი, რომელიც ავტორიტეტით ისარგებლებს დევნილებში."**

იმას, რომ აფხაზეთის მთავრობა ცენტრალური ხელისუფლების დანამატია, მხოლოდ სიმბოლური პოლიტიკური ფორმა აქვს და არანაირად არ გამოხატავს დევნილთა ინტერესებს, პირველი ოქტომბრის არჩევნებმაც დაადასტურა.

**ლადო ქირია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



# განათლების ჩაგვრა საქართველოში

**პედაგოგიკის უმოწყალო ჩაგვრა საქართველოში ამ ოციოდე წლის წინათ დაიწყო, როცა განათლების ქართველმა „რეფორმატორებმა“ საგანმანათლებლო სფეროს გარდაქმნები მხოლოდ უცხოური რეკომენდაციების საფუძველზე მოინდომეს. პირველ ხანებში (მაგალითად ა. კარტოზიას მინისტრობისას) ქართველ პედაგოგებს აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევდნენ, მაგრამ არსად და არავინ ითვალისწინებდა მას. შემდგომში, ოფიციალურ დონეზე, განათლების დარგის ქართველ მოღვაწეებს აინუნშიც აღარავინ აგდებდა, ხოლო ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნისას პედაგოგიკის ხსენებაც კი აიკრძალა. საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერთა აკადემიის მესვეურებმა სახელიც კი გადაარქვეს თავიანთ სამეურვეო სფეროს და განათლების მეცნიერებათა აკადემია უწოდეს, დარბევისაგან რომ ეხსნათ იგი. დარბევა კი, იცოცხლეთ, კარგად ეხერხებოდათ ნაცებს.**

პედაგოგიკა ამ ჩვენდა ჭირად გაჩენილ ნაცებს, ალბათ, საბჭოთა პროდუქტად მიაჩნდათ, ამიტომ ცდილობდნენ მის ამოგდებას ხალხის ცნობიერებიდან.

პედაგოგიკის უგულებელყოფისა და დემონსტრაციულად აბუჩად აგდების ყველაზე აშკარა მაგალითია განათლების მინისტრებად ისეთი ხალხის დანიშვნა, რომლებსაც თავიანთი პროფესიული სტატუსის გამო არანაირი შეხება განათლებასთან არ ჰქონდათ. ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნისას, ცხრა წლის განმავლობაში განათლების ხუთი მინისტრი შეიცვალა. პირველი სანტექნიკოსი იყო, მეორე გენპროკურორის ყოფილი მოადგილე, მესამეს რა პროფესია აქვს, თვითონაც ვერ ხვდება, მეოთხე მამალი „ნადზირატელი“ — ციხე-კოლონიების უფროსობიდან განათლებისა და მეცნიერების მინისტრად მოავლინეს, მეხუთე ასევე მეოთხეს ყოფილი კოლეგა ბრძანდებოდა.

რა დონის „ნადზირატელები“ ან სანტექნიკოსები ბრძანდებოდნენ ისინი, ჩემი შესაფასებელი არ არის, მაგრამ განათლების თეორიისა და პრაქტიკის ბაიბურში რომ არ იყვნენ, ეს დღეს კარგად ეტყობა მათ ნამოქმედარს. **მათ ერთი რამე იცოდნენ მხოლოდ: განუხრელად უნდა შეესრულებინათ ის საგანმანათლებლო რეკომენდაციები, რომლებიც ზიმბაბვესა თუ აშშ-მექსიკის საზღვარზე მცხოვრებ ხალხებში (ინდიელებში!) იყო დამუშავებული.**

**საქართველოში, მათი ჭკუით, არც პედაგოგიკის მეცნიერება არსებულა და არც ამ დარგის მეცნიერები გვყოლია!!!**

გასული წლის 1 ოქტომბერს ნაცმოძრაობა მოუსავლეთის გზას დაადგა. გაჩნდა იმის იმედი, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ნაცების მიერ დეფორმირებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის აღორძინება დაიწყებოდა. მე ამის იმედი მაქვს ახლაც, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი ძალისხმევით მოყვანილი ახალი ხელისუფლება დააბრუნებს იმ უკვდავ პრინციპს, რომ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს!!!“ სამწუხაროდ, განათლების დარგში ეს პრინციპი ჯერ არ დაბრუნებულა. მეტიც. პედაგოგიკის ჩაგვრა გრძელდება!

ასეთი კატეგორიულობა შეიძლება „ჯენტლმენობად“ არ ჩამითვალოს მავანმა და მართალიც იქნება. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ ჩვენს სამშობლოსთან ერთად, რომ „დემოკრატიული რევერანსების“ დრო არ არის. უფრო ზუსტად, ახლა ამის დრო არ გვაქვს. კატეგორიულად და გადაჭრით უნდა ითქვას შავზე შავიაო და თეთრზე თეთრიაო, „დიახ!“ ან „არა!“ როცა ქვეყანა კატასტროფის საფრთხეს გადაურჩება, როცა ყოფნა-არყოფნის საკითხი წარსულში დარჩება, მაშინ შეიძლება ვიდემოკრატოთ კიდეც და ვთქვათ. „ეს ფეხსაცმელი მე შავი მგონია, მაგრამ, მოდით, ვიმსჯელოთ და რასაც უმრავლესობა იტყვის, იმ ფერად ჩავთვალოთ“.

აი, ახლა, ახალმა ხელისუფლებამ სრულიად სამართლიანად მიიჩნია შეურაცხყოფილი და დამახინჯებული განათლების სისტემის იმ ფორმით აღდგენა, რასაც ჩვენი ქვეყნის სადღეისო მოთხოვნები და მომავლის პერსპექტივები მოითხოვს. ეს ადვილი საქმე არ არის, ამიტომ იგი უმაღლესი კვალიფიკაციის, საიმედო და პატრიოტ ადამიანებს უნდა მიენდოს. ეს, ალბათ, კარგად ესმით ხელისუფლებაში და ამიტომ პროფესიონალების ძებნა მსოფლიო მასშტაბით დაიწყეს: დღეს ხომ ქართველები მთელ პლანეტაზე არიან მოდებულნი (გაჭირვების გამო, ცხადია!).

მოკლე ხანში საინფორმაციო საშუალებებმა გვამცნეს, რომ განათლების დარგის რეანიმაციისა და აღდგენის ეროვნული მნიშვნელობის საქმის საერთო ხელმძღვანელობაზე ხელისუფლებამ ამერიკაში მოღვაწე მსოფლიოში ცნობილი ქართველი ფიზიკოსი დაითანხმა, რომლის მიერ შექმნილი კომისია შეიმუშავებს სტრატეგიულ გეგმას და უხელმძღვანელებს მისი რეალიზაციის პროცესს.

რაიმე ობიექტი რომ ააშენო, ან აშენებული გადააკეთო, პირველ ყოვლისა, ამ ობიექტის შესახებ გარკვეული კონცეფცია უნდა გქონდეს. და მართლაც, საინფორმაციო სივრცეში გამოქვეყნდა **„უმაღლესი განათლების და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი“** (მე ხელთა მაქვს მისი ბეჭდური ვერსია — გაზეთი „ახალი განათლება“, 2012 წლის 13-19 დეკემბერი).

ამ კონცეფციის ავტორები არიან ზემოთ ხსენებული ცნობილი ფიზიკოსი გია დვალი და მისი თანაავტორები, რომელთა პროფესია ჩემთვის უცნობია. არც ჩემთვის და არც ჩემი ნაცნობი მეცნიერი პედაგოგების თუ პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალისტებისათვის განათლების სფეროში ამ ადამიანების რაიმე ნააზრევი ცნობილი არ არის. ის ფაქტი, რომ ეს ფიზიკოსი (ალბათ, სხვებიც) აშშ-ში დიდი წარმატებით მოღვაწეობს, პედაგოგიკაში მის კვალიფიკაციაზე არაფერს გვეუბნება. თუმცა, ჩვენ რომ არაფერი გვსმენია მათს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ნააზრევზე, ეს არაფერს ნიშნავს. ყველაფერს თვალს ვერ მიადევნებ; აგერ არის კონცეფცია და სწორედ მასში იქნება ასახული მათი პედაგოგიკური აზროვნება, ცოდნა და გამოცდილება.

ერთი პერიოდი (კარგა ხანს!) სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის რედაქციაში ვმუშაობდი. რაიმე სამეცნიერო სტატია რომ მოხვდებოდა ჩემთან, პირველ ყოვლისა, სათაურის არსში ვცდილობდი ჩაწვდომას. ცხადია, ყველა სხვა რედაქტორიც ასე იქცევა, მაგრამ ჩემი მიდგომა იმით იყო განსხვავებული, რომ სათაური თუ უაზრობად მომეჩვენებოდა, სტატიას აღარ ვკითხულობდი. ვიცოდი, შინაარსიან სტატიას უაზრო სათაურს არავინ დაარქმევდა, ხოლო თუ უაზრო სათაურის ქვეშ შინაარსიანი სტატია იდო, მაშინ იგი სხვისი ნაშრომიდან იყო გადმოქაჩული. ორივე შემთხვევაში ავტორს უარყოფითი პასუხი უნდა მიეღო.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ პირველი პრეტენზია „კონცეფციის“ სათაურთან მაქვს.

მაშ, ასე: **„უმაღლესი განათლების და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი“!**

ეს ე. წ. „კონცეფცია“ ბოლომდე წავიკითხე, რადგან ეს ის შემთხვევა როდია, როცა სამეცნიერო ჟურნალში მოტანილი სტატიის ავტორს წაუკითხავად ვუგზავნიდი უარყოფით პასუხს და მისი სტატია დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ეს „კონცეფცია“ უკვე საჯარო დოკუმენტია, რომელიც ბევრმა ორგანიზაციამ უკვე წაუკითხავად მოიწონა; დიდი შანსია, იგი პარლამენტმაც მოიწონოს და კოაბიტაციასაც თუ გავითვალისწინებთ, ერთხმადაც მიიღოს. მერე ის იქნება, რომ ხუთიოდე წლის ჯახირის შემდეგ, ისევ იქ ვიქნებით, სადაც ვართ და ისევ დავიწყებთ ჩივილს ახალი რეფორმის აუცილებლობაზე.

ახლა ამ ე. წ. „კონცეფციის“ რამდენიმე არსებით ნაკლს ჩამოვთვლი (ყველა ნაკლზე საუბარს მთელი ჩვენი გაზეთი არ ეყოფა!) და, ვფიქრობ, ყველა გონიერი მკითხველი მიხვდება, რომ ეს „კონცეფცია“ არ არის და ამ დოკუმენტის მიხედვით რაიმეს აშენება შეუძლებელია.

**1. არ შეიძლება კონცეფციაში ერთი და იგივე ცნება განსხვავებული ტერმინებით გადმოიცეს.** მაგალითად, ამ „კონცეფციაში“ უმაღლეს სასწავლებელს ხან „უნივერსიტეტი“ ჰქვია და ხან „აკადემია“.

**2. დაუშვებელია ორაზროვანი განსაზღვრებების, არალოგიკური შეფასებებისა და უშინაარსო ცნებების შემოტანა.** მაგალითად, კონცეფციაში აკადემიური ხარისხი ასეა განსაზღვრული: „აკადემიური ხარისხი გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის მთავარი საზრუნავი არის მაღალი ხარისხის პროფესორ-მასწავლებელთა მოზიდვა, მათი შენარჩუნება...“

უნივერსიტეტის (თუ სხვა უმაღლესი სასწავლებლის) მთავარი საზრუნავი არის მაღალი დონის სპეციალისტების მომზადება, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა მოზიდვა მთავარი საზრუნავის რეალიზაციის საშუალებაა.

**3. კონცეფციაში ათადან-ბაბადან ცნობილი და უდავო ჭეშმარიტების მტკიცება პრიმიტივიზმი და არასერიოზულობაა.** მაგალითად, აკადემიური მიუკერძოებლობა ასეა განმარტებული: „აკადემიური მიუკერძოებლობა გულისხმობს, რომ პროფესორი აკადემიურ საქმიანობაში ყველაზე წინ აყენებს თავის მეცნიერულ ხედვას და პროფესიულ მოვალეობას... ასეთ დროს არანაირმა პირადმა, მატერიალურმა, ეთნიკურმა, სქესობრივმა თუ პოლიტიკურმა ფაქტორმა არ უნდა იქონიოს გავლენა შედეგზე“.

აბა, სხვაგვარად ფიქრობდა ან ფიქრობს ვინმე? პროფესორის სხვაგვარი მოქცევა არის ან ზნეობრივი ან სისხლის სამართლის დანაშაული.

**4. „კონცეფციაში“ მოცემულ დებულებას დამატებითი ახსნა-განმარტება ან მკითხაობა არ უნდა სჭირდებოდეს.** მაგალითად, „კონცეფციაში“ გვაუწყებენ: „სტუდენტს საშუალება აქვს, თავად ჩაერთოს სამეცნიერო კვლევაში საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებით“.

რას ნიშნავს „თავად (ალბათ, თვითონ, — **ზ. ც.**) ჩაერთოს სამეცნიერო კვლევაში? სამეცნიერო მომზადება თვითმოქმედებაა?

**5. „კონცეფციაში“ წარმოდგენილ იმპერატიულ დებულებებს აუცილებლად მოეთხოვება სამართლებრივი, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური ან ლოგიკური საფუძვლები, უიმისოდ ნებისმიერ დეკლარირებულ მოსაზრებას არანაირი კავშირი არ აქვს მეცნიერებასთან და საღ აზრთან შეხებისას საპნის ბუშტივით გასკდება.** აი, მაგალითად, რას აცხადებენ ამ დოკუმენტის ავტორები: „ეს კონცეფცია გულისხმობს დამფინანსებლის (მაგალითად, სახელმწიფოს ან ცალკეული ორგანიზაციისა თუ კერძო პირის) ჩაურევლობას აკადემიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

კერძო პირს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს თავისი ფული“ სადაც სურს იქ ჩადოს (თუ კანონით აკრძალული საქმიანობა არ არის) და მერე შედეგები არ მოიკითხოს. სახელმწიფო ასე ვერ მოიქცევა. ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილობას თუ არავინ აკონტროლებს, მაშინ ის სახელმწიფოც არ არის.

**6. კონცეფციაზე მომუშავე ადამიანებს უპირობოდ მოეთხოვებათ იმ სამეცნიერო ტერმინოლოგიის ცოდნა, რომელსაც ისინი თავიანთ კონცეფციაში იყენებენ.** მაგალითად, ამ ე. წ. „კონცეფციის“ ავტორები გვეუბნებიან, რომ წარმატებული აკადემიური სისტემა სამ **პრინციპზეა** დაფუძნებული. ეს არის ა) აკადემიური დამოუკიდებლობა, ბ) აკადემიური მიუკერძოებლობა, გ) აკადემიური ხარისხი. მომდევნო აბზაცში კი გვიმტკიცებენ: ამ სამი **კონცეფციის** საყრდენსა და დამცავ მექანიზმს წარმოადგენს ტენუარის ინსტიტუტი, ანუ ტენუარის სისტემაო. აქ აშკარაა, რომ ავტორებს „პრინციპი“ და „კონცეფცია“ სინონიმები ჰგონიათ (თუ, რა თქმა უნდა, უარეს შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე!).

„პრინციპი“ და „კონცეფცია“ სხვადასხვა შინაარსისაა. „კონცეფციაზე“ უკვე ვთქვით. რაც შეეხება პრინციპს, იგი არის ამოსავალი დებულება, რაც ადამიანის ქცევას განსაზღვრავს. ეს ტერმინი ლათინური წარმომავლობისაა და ეტიმოლოგიურად **საფუძველს, პირველსაწყისს** ნიშნავს. პირველსაწყისსა და საფუძველს არანაირი საყრდენი და დამცავი მექანიზმი არ სჭირდება.

**7. სამეცნიერო კონცეფციაში, მით უფრო, თუ იგი დარგის რეფორმას ეხება, არ უნდა იყოს ფანტასტიკის, უფრო კი, ირაციონალური აზროვნების ელემენტები.** მაგალითად, ე. წ. „კონცეფციის“ „საუნივერსიტეტო მეცნიერების“ ნაწილში აღნიშნულია: „წარმატების მთავარი საფუძველი ისაა, რომ ეს ინსტიტუტები მსოფლიო მასშტაბის მეცნიერების (ალბათ, მეცნიერთა — **ზ. ც.**) გარშემო აშენებული სტრუქტურებია, სადაც მეცნიერებს აქვთ სრული თავისუფლება, აირჩიონ კვლევის საგანი, შეარჩიონ სამეცნიერო პერსონალი და წარმართონ კვლევის პროცესი თავის შეხედულებისამებრ“.

ასეთი ფუფუნება რომელ ქვეყანას აქვს, არ ვიცი, მაგრამ საქართველოსათვის კი ეს ნამდვილად ფანტასტიკის სფეროა. არც ის ვიცი, მეცნიერების რომელ დარგში ეგულებათ ავტორებს მსოფლიო დონის მეცნიერთა ჯგუფები, მაგრამ პედაგოგიკაში (განათლების მეცნიერებაში) ასეთი დონის მკვლევარები რომ არ გვყავს, ეს კარგად არის ცნობილი. ერთი კაცი გვყავს ასეთი დონისა და ისიც სხვა სახელმწიფოში მოღვაწეობს.

ამას გარდა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერთი რომელიმე მეცნიერის გარშემო აშენებული სტრუქტურა ვერ იქნება, ეს მეცნიერი თუნდაც აინშტაინი, ნილს ბორი ან დიმიტრი უზნაძე იყოს. ერთ კაცზე მორგებული და მის ინტერესებს მისადაგებული შეიძლება იყოს მხოლოდ ლაბორატორია, ისიც მდიდარ ქვეყანაში.

**ამ ე. წ. „კონცეფციას“ მკითხველთა უმრავლესობისათვის ერთგვარად უცხო ცნება-ტერმინებს თუ ჩამოვაცილებთ (ტენუარის სისტემა, ჰარნაკის პრინციპი, მასწავლებელთა რეკრუტირება), ხელში შეგვრჩება იმ სისტემის მოკლე შინაარსი არაარსებითი კორექტივებით, რომელიც გვქონდა და კარგად ვიცით. მოკლე და უსისტემო შინაარსი კი შეგვრჩება ხელთ, მაგრამ კონცეფცია? ფა-ფუ!**

ფიზიკოსს, თუნდაც მსოფლიო დონისას, არ მოეთხოვება განათლების მეცნიერების ანუ პედაგოგიკის ცოდნა და, შესაბამისად, არც განათლების კონცეფცია უნდა მოსთხოვო. კარგი მოთხოვეს, მაგრამ თვითონ რატომ დაეთანხმნენ იმ საქმის შესრულებას, რისი ცოდნაც არ ჰქონდათ? ამ კითხვას საუკუნენახევრის წინ ზუსტი პასუხი გასცა პედაგოგიკის დიდმა კლასიკოსმა კონსტანტინ უშინსკიმ. აქ მინდა შევნიშნო, რომ უშინსკი ტერმინ „აღზრდას“, „პედაგოგიკის“ მნიშვნელობით იყენებს: **„აღზრდა ყველას ეჩვენება ადვილ და გასაგებ საქმედ, მით უფრო ადვილად და გასაგებად, რაც უფრო ნაკლებად იცნობს მას, თეორიულად და პრაქტიკულად“.**

როდის ნათქვამია და რა თანამედროვედ!

დღეს არც ჩვენში და არც სხვაგან იმ დონის კორიფეები (კომენსკები და პესტალოცები, დისტერვეგები და უშინსკები) ცოცხლები არ არიან, რომლებსაც განათლების კონცეფციები ჰქონდათ თავებში. არც დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემებია ისეთი, ერთი კაცის მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციებზე რომ აიგოს. უცხო, თუნდაც წარმატებული ქვეყნის განათლების კონცეფციის მექანიკურ გადმონერგვას კი ისეთივე შედეგი მოჰყვება, როგორც ერთი კაცისათვის ექიმის მიერ გამოწერილი წამლების სხვა კაცის მიერ მოხმარებას.

საქართველოს განათლების კონცეფციების (როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლისა) შემუშავებისათვის უნდა ჩამოყალიბდეს შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებშიც შევლენ გამოჩენილი სწავლული პედაგოგები, პედაგოგიური ფსიქოლოგიის ავტორიტეტული წარმომადგენლები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები და იურისტები, მათ მიერ შედგენილ კონცეფციებს კი ფართო პედაგოგიური საზოგადოებრიობა განიხილავს. ეს არის რაციონალური და საიმედო გზა.

**პედაგოგიკის უგულებელყოფითა და აბუჩად აგდებით, მისი გვერდის ავლით, რაც უნდა სახელოვან ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, ასტრონომებსა და სანტექნიკოსებს მიმართონ დახმარებისათვის, წარმატებას ვერავინ მოიპოვებს. ფიასკო კი გარდაუვალი იქნება!**

**ზურაბ ცუცქირიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დედაქალაქი

# ამბავი ქაღალდებით ბიუროკრატიული გუნდაობისა

### ღია წერილი – ვის? აღარც კი ვიცი, ვის – ვისაც ეს ეხება!

**როგორც მთელ თბილისში, ისე ჩვენთან, დიღმის მასივშიც იკაფება თუ ძირიანად იჭრება ავარიული, გადაბერებული ხეები. ოღონდ ჩემი გამოუცდელობით მაკვირვებდა ერთი გარემოება: ხშირად მოქალაქეთა განცხადებების მიხედვით აშკარად ნაკლებავარიულ, ზოგჯერ კი სრულიად „უდანაშაულო“ მწვანე ნარგავებს გასაკვირი ოპერატიულობით ამუშავებდნენ, ხოლო გაცილებით მეტი ხიფათის შემცველი ავარიული ხეები კი წლობით ყურმიუგდებელი რჩებოდა!**

სწორედ ამგვარმა აღმოჩენამ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში 2011 წლის 18 აპრილს ამგვარი განცხადება შემატანინა.

**„დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, ტექსელის პარკის პირდაპირ, ბავშვთა №21 პოლიკლინიკის გვერდით, ზედ გაჩერებასთან, რვასართულიან საცხოვრებელ 5ა კორპუსს აცილებული ორი უზარმაზარი, ხშირტოტებიანი ალვის ხე იქამდეა გადაბერებულ-დამძიმებული, რომ მისი თითოეული ტოტი უკვე ცალკეულ ხეს წარმოადგენს და შეიძლება ქარიც აღარ გახდეს საჭირო მათ ჩამოსატეხად. ადრე რამდენიმე ტოტი ჩამოტყდა და ჩამოეკიდა, მაგრამ მხოლოდ მათი მოცილებით შემოიფარგლნენ.**

**ერთი შეხედვით თვით არასპეციალისტიც კი შეატყობს, რომ ხიფათიანი ეს ორი ხე ოპერატიულ გადაბელვა-კორექციას საჭიროებს, რათა ხალხმრავალ ტროტუარსა და გაჩერებაზე სისხლიანი ტრაგედია არ დატრიალდეს“.**

გამგებლის მოადგილის გ. რობაქიძის ოპერატიული პასუხი 2011 წლის 26 აპრილით თარიღდება.

**„პასუხად თქვენი განცხადებისა, გაცნობებთ, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ მოხდება თქვენს (უნდა იყოს თქვენ. ჯ.მ.) მიერ მითითებულ მისამართზე ხის ავარიულობის ხარისხის დადგენა და ამის შემდეგ დაიგეგმება სამუშაოების ჩატარების გრაფიკი აგროვადებისა და საბიუჯეტო შესაძლებლობების ფარგლებში“.**

თითქმის წელიწადი იწურებოდა და დიღმის მასივში ისეთ-ისეთი ხეები იკაფებოდა თუ იჭრებოდა, ყეყეჩიც კი მიხვდებოდა რაღაცას, სინდისი შეაწუხებდა და მოსალოდნელი კატასტროფის ასაცილებელი ბრძოლის გაგრძელებას აიძულებდა. ამიტომ 2012 წლის 16 იანვარს გამგეობაში მეორე განცხადება შევიტანე. აი, მისი დაბოლოება.

**„არ ვიცი, დადგინდა თუ არა მათი ავარიულობის ხარისხი, მაგრამ დიღმის მასივში ისეთ-ისეთი ხეების მოჭრა-გადაბელვა მიმდინარეობს, რომ მათთან შედარებით გაცილებით მეტ საშიშროებას წარმოადგენს ჩემ მიერ მითითებული, ზედ გაჩერების თავზე ტოტებგადაწვდილი უზარმაზარი ალვის ხეები.**

**კიდევ ერთხელ გთხოვთ, დროულად მიიღოთ საჭირო ღონისძიებები“.**

რაც მართალია, მართალია — ალტაცებაში მოგიყვანთ ბ-ნ გ. რობაქიძის ოპერატიულობა! აი, 2012 წლის 23 იანვრის პასუხი.

**„პასუხად თქვენი განცხადებისა, რომელშიც მოითხოვდით ხეების მოჭრასა და გადაბელვას (ჩემს განცხადებებში ხეების მხოლოდ გადაბელვაზეა ლაპარაკი. ჯ. მ.) გაცნობებთ, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ მოხდება თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ხის ავარიულობის ხარისხის დადგენა და ამის შემდეგ დაიგეგმება სამუშაოების ჩატარების გრაფიკი“.**

აქედან წელიწადზე მეტი გავიდა. დიღმის მასივში კვლავ ფართო ფრონტით მიმდინარეობს სხვადასხვა კატეგორიის წვრილ-მსხვილი ხეების დამუშავება და თითქოს ჯინაზე, ჩემ მიერ მითითებულ ბებერ ალვის ხეებს სულ გვერდს უვლიან — თითქოს განზრახ ელიან სისხლიან ტრაგედიას, როგორც ამ სამიოდე წლის წინათ აქვე, დიღმის მასივის ბაზრის წინ ქარისგან წაქცეულმა ძირმომპალმა ალვის ხემ ვაშლის გამყიდველი სოფლელი მამაკაცი იმსხვერპლა! თან გაოცებას ვარ — ამ ხნის მანძილზე ვერა და ვერ დაადგინეს მითითებული ალვის ხეების ავარიულობის ხარისხი, ხოლო ზოგიერთი მოქალაქის უსაფუძვლო კაპრიზებისა თუ ახირების გასაქარწყლებლად შესაბამისი სამსახური მაშინვე იქ გაჩნდება ხოლმე და ტყვიამრფქვევივით აკაკანებენ თავიანთ მრავალნაცად „დრუჟბას!“ ეტყობა, მე რაღაც მეშლება, ვერ ვარ ჩამწვდარი ამ ცხოვრების ასავალ-დასავალს!



მოკლედ, 2013 წლის 26 იანვარს გამგეობას მესამედ (!) მივმართე. აი, განცხადების დაბოლოება.

**„ამჯერად მხოლოდ ამასღა გთხოვთ: ღია წერილის გამოქვეყნებას ვაპირებ და მერე ურთიერთბრალდებებს რომ არ ჰქონდეს ადგილი — საკითხი ტენდენციურად გაგიშუქებიაო, თქვენთვის სასურველ ფორმაში ჩამოაყალიბეთ იმ ორი გადაბერებული ალვის ხის აქამდე დაუკაფაობის მიზეზი“.**

პასუხი 2013 წლის 7 თებერვალს მივიღე.

ო, ეს გენიალური, მაგრამ უშედეგო და მოქალაქის შეურაცხმყოფელი ბიუროკრატიული ოპერატიულობა, რომელიც ქაღალდებით თავშესაწყენ გუნდაობას ემსგავსება ხოლმე!

აი, რას იუწყება ბ-ნი გ. რობაქიძე (სტილი აქაც დაცულია).

**„თქვენი განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ხის გადაბელვას, გაცნობებთ, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებმა ადგილზე შეისწავლეს მწვანე ნარგავების მდგომარეობა, ვინაიდან თქვენი მეზობლები წინააღმდეგი არიან, ამ ეტაპზე ხეს ვერ გადავბელავთ“.**

აბა, რომელ ეტაპზეღა გადაბელავენ — კატასტროფა გაჩერებაზე მასობრივ მსხვერპლს რომ გამოიწვევს?! ანდა, რომელი „მეზობლები“ — ავარიული ხის გადაბელვის წინააღმდეგ რომელი ჭკუათმყოფელი წავა?!

ეს წერილი თუ დამიბეჭდეს, კარგი იქნებოდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს შედარება-თვალსაჩინოებისათვის „უკვდავეყოთ“ ეს ორი გადაბერებული ალვის ხე და თავიანთი არგუმენტების გამოსამზეურებლად ინტერვიუებიც ჩამოერთმიათ როგორც გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკებისათვის, ისე ამ „მეზობლებისთვისაც“, ვინაიდან მერე, ურემი რომ გადაბრუნდება ხოლმე, ყველა ერთმანეთს ეფარება და მიკიბულ-მოკიბულ ჩვენებებს იძლევა, რის გამოც ჭეშმარიტების დადგენა ძნელდება ან სულაც შეუძლებელი ხდება! ანდა, ტრაგედია რომ დატრიალდეს, პასუხს ვინ აგებს: საქართველოს მთავრობა, თბილისის მერია, დიდუბე-ჩუღურეთის ყოფილი გამგებელი რამაზ სურმანიძე, დღევანდელი გამგებელი დავით დაღელაშვილი, მისი მოადგილე გიორგი რობაქიძე, გამგეობის ინფრასტრუქტურის წამყვანი სპეციალისტი შალვა რამიშვილი თუ ბიუროკრატიული ცუღლუტობით გამოგონილი ეს ზოგადი „მეზობლები?!“

არავის ეგონოს, მე აქ რაიმე პირადი ინტერესი მამოძრავებდეს: ჩემი ბინიდან საერთოდ არც მოჩანს ის ორი სვეკრული ალვის ხე! ხოლო თუ თავს ვიწამებ, მხოლოდ და მხოლოდ ორი მიზეზით — არ მინდა ბიუროკრატიულმა უსულგულობამ ტრაგედია დაატრიალოს და თან ალშფოთებული საზოგადოების გასაკიცხიც გავხდე: რაკი დაიწყე, ცოტა მეტი მოთმინება და ძალ-ღონე რომ მოგეხაპა და ერთი ნაბიჯიც გადაგედგა, იქნებ ეს უბედურება არ დატრიალებულიყოო!

**მორჩა, მე ამის მეტი აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია!**

**ჯემალ მეხრიშვილი,**
მწერალი.

## თანამშრომლობა




# შეხვედრა, რომელიც რეგულარულად უნდა იმართებოდეს

**ბიზნესმენებმა მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირებთან შეხვედრას მოუხშირეს. ამჯერად დიალოგი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებთან და სებ-ის პრეზიდენტთან გააბეს. ბიზნესასოციაციის ინიციატივით მოწყობილ შეხვედრაზე კერძო სექტორმა მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან შეხვედრისას საკუთარი პრობლემები წამოჭრა.**

ბიზნესმენებთან შეხვედრისას ფინანსთა სამინისტრომ ბიზნესს დაგეგმილი ცვლილებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. როგორც ირკვევა, ცვლილებები მალე საგადასახადო და საბაჟო კუთხით განხორციელდება. დაგეგმილია კანონმდებლობის დახვეწაც, რათა კანონი ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას აღარ იძლეოდეს.

**„შეხვედრაზე ბიზნესს ჩვენ ჩვენი ხედვები გავაცანით და კიდევ ერთხელ შევთანხმდით, რომ ისევ გავაგრძელებთ თანამშრომლობას. ბევრი პრობლემა აბსოლუტურად იოლად მოსაგვარებელია“,** — აღნიშნა შეხვედრის დასრულების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

**„მოხარულნი ვართ, რომ ის საკითხები, რომელზედაც ჩვენ ფინანსთა სამინისტროსთან ვმუშაობდით, გაითვალისწინეს. არის სიახლეებიც, რომელთაც ასოციაცია საკუთარ კომიტეტებზე განიხილავს. მივესალმებით იმ ინიციატივებს, რომლებიც ბიზნესის განვითარებაზე და ბიზნესის წნეხის შემცირებაზეა ორიენტირებული“,** — აღნიშნა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭირაქაძემ.

იგი იმედოვნებს, რომ მთავრობა ბიზნესისთვის პრინციპულ საკითხებს გაგებით მოეკიდება.

**„ვისაუბრეთ ბიზნესში დაგროვილ პრობლემებზე და შრომის კოდექსზე, რომელიც ჩვენთვის ძალიან პრინციპულია. ჩვენ პრინციპულად ვდგავართ ჩვენს პოზიციებზე. ბიზნესასოციაცია ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად აყენებს მუდმივი კონტრაქტების თემას, როდესაც ბიზნესს მოკლევადიანი კონტრაქტების გაფორმების საშუალება არ ეძლევა. მივიღეთ მხარდაჭერა ფინანსთა და ეკომონიკის მინისტრებისგან და ვიმედოვნებთ, მთავრობა ბიზნესისთვის პრინციპულ საკითხებს გაგებით მოეკიდება“,** — განაცხადა ჭირაქაძემ.

მისი აზრით, მსგავსი ხასიათის დიალოგი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, მთავრობის ეკონომიკურ გუნდსა და ბიზნესმენებს შორის რეგურალურად უნდა გაიმართოს, რადგან ის ძალიან მნიშვნელოვანია.

სებ-ის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის განმარტებით კი, ისეთ რთულ ვითარებაში, როგორშიც დღეს საქართველო იმყოფება, დიალოგი მნიშვნელოვანია.

**„ბიზნესთან კომუნიკაცია არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს სახელმწიფო პოლიტიკას ყველა მიმართულებით. შეხვედრისას წამოიჭრა საკითხები თითქმის ყველა მიმართულებით“,** — აღნიშნა გიორგი ქადაგიძემ.

ბიზნესმენები და მთავრობის წევრები მომავალ შეხვედრამდე წავიდ-წამოვიდნენ. შეხვედრა კი, როგორც აქედანვე ჩანს, მალე გაიმართება.

**გიორგი ბექაური**

## ინფორმაცია

### დააკავეს ყალბისქმნელი ყოფილი რექტორი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადების ბრალდებით, 1949 წელს დაბადებული ანზორ ჩ. და 1954 წელს დაბადებული თამაზ ხ. დააკავეს.**

**როგორც შსს-ს ოფიციალურ ვებგვერდზეა აღნიშნული, გამოძიებამ დაადგინა, რომ ანზორ ჩ-მ მოქალაქეს დიპლომის დამზადების სანაცვლოდ 2800 ამერიკული დოლარი მოსთხოვა, ამ თანხიდან 300 დოლარი ავანსად დაიტოვა, ხოლო დიპლომის დამზადება თანამზრახველს, ერთ-ერთი გაუქმებული უმაღლესი სასწავლებლის ყოფილ რექტორ თამაზ ხ-ს სთხოვა.**

**სამართალდამცველებმა ანზორ ჩ. მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე იმ დროს დააკავეს, როცა მან მოქალაქეს დარჩენილი 2500 აშშ დოლარი გამოართვა და დამზადებული ყალბი დიპლომი გადასცა, ხოლო თამაზ ხ. ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს.**




**თამაზ ხ-ს ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მოქალაქის მიერ გადახდილი 300 აშშ დოლარი, მისი 3 ფოტოსურათი, პირადობის მოწმობის და ატესტატის ასლები, ასევე 19 შეუვსებელი ყალბი დიპლომი ამოიღეს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**⊙ აკადემია ხვალ**



## აკადემიკოსობის კანდიდატები

# ალექსი გერასიმოვი

### ინფორმაცია გაცნობისთვის

**ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი; მყარი სხეულების ფიზიკის, მიკროელექტრონიკისა და ნანოტექნოლოგიების სპეციალისტი; ამ დარგებში საქართველოსა და საზღვარგარეთის პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 214 მეცნიერული შრომის ავტორი, 10 საგამომგონებლო პატენტის მფლობელი; ერთი შრომა (ავთანდილ ცერცვაძისა და მიხეილ მერკინის თანაავტორობით), „მყარი სხეულებიდან თერმოსტიმულირებული ეკზოელექტრონული ემისიის წარმოქმნის კანონზომიერება", აღმოჩენათა საერთაშორისო ასოციაციამ რეგისტრაციაში გაატარა, როგორც სამეცნიერო აღმოჩენა (1998 წ.). მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 21 საკანდიდატო დისერტაცია, დისერტანტებიდან 4 გახდა საბჭოური ხანის მეცნიერებათა დოქტორი.**

ექსპერიმენტულად და თეორიულად იკვლევდა მყარ სხეულებსა და ნახევარგამტარულ ხელსაწყოებში დაბალ ტემპერატურებზე რადიაციით გამოწვეული დეფექტების ბუნებას, რის შედეგადაც შეისწავლა და დადგინდა კრიოგენულ ტემპერატურებზე მათი მიგრაცია და ურთიერთქმედება. შესაბამის გამოკვლევათა ციკლისათვის ამერიკელ ფიზიკოსთა საზოგადოების ჯილდო მიეკუთვნა (1993 წ.).

მეტალებსა და დიელექტრულ ფირებზე მიგრაციული თუ დიფუზიური პროცესების კვლევათა გავრცელებამ ალექსი გერასიმოვს მისცა იმ სრულიად ახალი ათერმიული მექანიზმის ჩამოყალიბების საშუალება, რომელიც ერთიანი მიდგომით აღწერს დაბალტემპერატურულ და მაღალტემპერატურულ ხსენებულ პროცესებს არსებული ფრენკელის მექანიზმისაგან განსხვავებით (ფრენკელის მექანიზმი გამოსადეგია მხოლოდ ზოგიერთი მაღალტემპერატურული პროცესისთვის). ეს ყველაფერი აისახა სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც დაიცვა ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში (მოსკოვი, 1988 წ.).

2005 წლიდან ამერიკელებმა ქ. სიეტლში ჩამოაყალიბეს „გერასიმოვ რესეარჩ ლაბორატორი", რომელსაც 2009-მდე (ეკონომიკური კრიზისის მიზეზით დახურვამდე) სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა ალექსი გერასიმოვი.

ილია ვეკუას სახელობის საკადემიო პრემიის ლაურეატია (2005 წ.).

### დიალოგი

**— ბატონო ალექსი, ვიცი, რომ ბევრი კარგი მეცნიერული შედეგი გაქვთ; იმ ფაქტის შესახებაც ვიცი (დამიწერია კიდევაც „საქართველოს რესპუბლიკაში"), რომ ორ თანაავტორთან ერთად თქვენი ნაშრომი ეკზოელექტრონული ემისიის ფიზიკური ბუნების შესახებ აღმოჩენადაა რეგისტრირებული სათანადო საერთაშორისო ცენტრის მიერ — ეს მიგაჩნიათ თქვენს ყველაზე დიდ მეცნიერულ მიღწევად?**

— არა, ასეთად ვთვლი მოლეკულურ-პოტენციური თეორიის, მთლიანად ექსპერიმენტებით დამტკიცებულის, შექმნას, რამაც, ჩემი აზრით, არსებითად შეცვალა აქამდე არსებული მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის წარმომადგენლები კონდენსირებულ გარემოში ატომის გადაადგილებასთან დაკავშირებული მოვლენების თაობაზე. ადრინდელი, მხოლოდ მაღალი ტემპერატურებისათვის სამართლიანი თეორია, ჩემი შექმნილი ახლის კერძო შემთხვევა აღმოჩნდა.

მოლეკულურ-პოტენციური თეორიის მიხედვით, ჩვეულებრივ მაღალ ტემპერატურებზე ჩატარებადი პროცესების განხორციელება შეიძლება დაბალ ტემპერატურებზე, შესაბამისი ათერმიული ხერხის დახმარებით. ენერგიის დაზოგვის თვალსაზრისით მოგება იქნება მრავალათასჯერი.

**— რას იტყოდით განათლებისა და მეცნიერების ამჟამინდელ მდგომარეობაზე ჩვენში?**

— დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ საქართველოს მეცნიერება იყო ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. ეს ნათქვამი მარტო ფიზიკას რომ არ ეხება, მაქვს ამის საფუძველი: წლების განმავლობაში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, სადაც ვიწვევდით ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ გამოჩენილ მეცნიერებს სულ სხვადასხვა დარგიდან, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატებსაც. ვთხოვდით მოხსენების წაკითხვას და ბოლოში რომ შეაფასებდნენ ხოლმე შესაბამის სფეროში საქართველოში მოპოვებულ წარმატებებს, ეს შეფასებები მუდამ მაღალი იყო. ისიც უნდა დავუმატო, რომ ნამუშევარი ვარ რუსეთში, უკრაინაში, აშშ-ში და მაქვს შედარების შესაძლებლობა. ქართველი მეცნიერები არაჩვეულებრივი ნიჭიერებით გამოირჩევიან, რაც ქვეყნისათვის დიდ ინტელექტუალურ პოტენციას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, კადრების მომზადების სისტემა, მეცნიერების განვითარების საჭირო ბაზა ახლა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად მოშლილია და ამას ამაყად უწოდებენ რეფორმებს, სინამდვილეში კი ნგრევაა. სწავლულისა თუ პედაგოგის პრესტიჟი „რეფორმების" წყალობით მკვეთრად დაეცა, ახალგაზრდებს აღარა აქვთ მკვლევრად გახდომის ინტერესი. თქვენ ხომ კარგად გახსოვთ, ჩვენ ყველა როგორ ვცდილობდით, რომ მასწავლებლებს დავმსგავსებოდით.

სახელმწიფო უნდა ეცადოს მეცნიერისა და მასწავლებლის ავტორიტეტის აღდგენას, რომ ჩვენ, უფროსმა თაობამ, მოვასწროთ მომავალი თაობისათვის მარტო ცოდნის კი არა, გამოცდილებისა და ჩვევების გადაცემა. კარგია, რომ ახალი ხელისუფლებისგან უკვე გადადგმულია საიმედო პირველი ნაბიჯები...

**ლუკა გორგაძე**

**⊙ კრიზისი და პროგნოზი**

# „თეთრი ლაქა" მუქ ფონზე

**წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის შედეგების ანალიზისას საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ პირველი სამი თვის მონაცემები 2013 წელს დაგეგმილი ეროვნული ეკონომიკის 6-პროცენტიანი ზრდის ტემპის გადაჭარბების იმედს იძლევა. თუმცა, ამ ოპტიმისტურ ნათქვამს უმალ უფრო ფრთხილი განცხადება მიაყოლა, რომ ამის მიუხედავად, მაკროეკონომიკური პარამეტრების გადახედვა ჯერჯერობით არ იგეგმება, ყველაფერი უფრო ნათელი ზაფხულის დასაწყისში გახდება, როცა ნახევარი წლის შედეგები დაჯამდება.**

ქვეყნის ფინანსთა მინისტრის ფრთხილ ოპტიმიზმს არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო პარამეტრების გადაჭარბებით შესრულება, ექსპორტის გარკვეული ზრდა და ზოგიერთი სხვა პოზიტიური მომენტი, არამედ ავტორიტეტული საერთაშორისო ანალიტიკური კვლევების შედეგებიც ამაგრებს. მათ შორის ყველაზე სოლიდური, ცხადია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა მოსაზრებაა, რომლის თანახმად წლეულს მსოფლიო ეკონომიკის 2,9-პროცენტიანი ზრდაა მოსალოდნელი, რაც 2013 წელს, ფაქტობრივად, 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან საბოლოო გამოსვლის წერტილად აქცევს. უფრო ოპტიმისტურია მომავალი, 2014 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, რომელსაც 3,5 პროცენტის დონეზე ვარაუდობენ. მეტიც: ამერიკული „მორგან სტენლის" ეკონომისტები საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტები უფრო იმედიანად არიან განწყობილნი და 2013-14 წლების ზრდას, შესაბამისად, 3,1 და 4,0 პროცენტის დონეზე ვარაუდობენ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ გაცილებით უფრო ფრთხილად უდგებიან სამომავლო საპროგნოზო ზრდის ტემპს „სითიგრუფის" ექსპერტები, რომელთა პროგნოზით, შარშანდელ შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისად, 2,6 და 3,1 პროცენტი უნდა ვივარაუდოთ. იქაური სპეციალისტების აზრით, ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი ტემპის პირობებში ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობა ნაწილობრივ გაადვილდება, თუმცა, კარდინალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ამასთან, უახლოეს ორ წელიწადში ინფლაციის ტემპმა 2 პროცენტს არ უნდა გადააჭარბოს.

ამ პროგნოზს, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა საქართველოსთვისაც აქვს, რადგან ფინანსური სახსრების ნაკლებად მისაწვდომობა, უწინარესად, მაღალი საპროცენტო განაკვეთისა და რისკების გამო, სხვა ფაქტორებთან ერთად ყოველთვის იყო ეროვნული ეკონომიკისა და, მით უმეტეს, სოფლის მეურნეობის განვითარების უდიდესი შემზღუდავი ფაქტორი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად ახალ პირობებში ენიჭება, როცა მთავრობას კურსი სოფლის მეურნეობის მკვეთრ ინტენსიფიკაციაზე აქვს აღებული.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გარკვეულწილად იმედის მომცემი ეკონომიკური ზრდის პროგნოზები ანალიტიკოსთა სხვადასხვა ჯგუფს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკური სისტემისთვის აქვს გაკეთებული, საიდანაც, ჩვენი აზრით, განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნები (მათ შორის, ცხადია, საქართველო) ცალკეა გამოსაყოფი და, აი, რატომ. ექსპერტთა სხვადასხვა ჯგუფის აზრით, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წლეულს ზრდა მხოლოდ 0,7-0,8 პროცენტის ფაგლებში იმერყევებს, მესამე სამყაროს ქვეყნების ეკონომიკების განვითარების დონე კი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკების დონესაც ვერ შეედრება.

აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ „კეპიტელ ეკონომიკსის" ანალიტიკოსები განსაკუთრებულ აქცენტს სწორედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებზე აკეთებენ, რომლებსაც „თეთრ ლაქასაც" კი უწოდებენ. ამასთან, მათ ექსპორტზე დაბალი მოთხოვნის გამო ზრდის პოტენციალის სრულად გამოყენების შეუძლებლობას მიუთითებენ.

> **როცა ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლებზეა ლაპარაკი, ბუნებრივია, რომ ანალიტიკოსები ეკონომიკური რისკების ფაქტორსაც ითვალისწინებენ, რომლებსაც უდიდეს ყურადღებას აქცევენ. ამ მხრივ ერთ-ერთი უმთავრესია ევროზონის დაშლის საფითხე, რაზეც აგერ რახანია მსჯელობენ.**

როცა ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლებზეა ლაპარაკი, ბუნებრივია, რომ ანალიტიკოსები ეკონომიკური რისკების ფაქტორსაც ითვალისწინებენ, რომლებსაც უდიდეს ყურადღებას აქცევენ. ამ მხრივ ერთ-ერთი უმთავრესია ევროზონის დაშლის საფრთხე, რაზეც აგერ, რა ხანია მსჯელობენ.

ამასთან, აღსანიშნავია ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებაც, რომ ევროზონის ვალებთან დაკავშირებული კრიზისის პიკი უკვე გავლილია, თუმცა კი მდგომარეობა მაინც მყიფე წონასწორობის პირობებშია, რადგან ზონის პერიფერიებში (ვთქვათ, საბერძნეთში, კვიპროსში, პორტუგალიაში, იტალიაში და სხვ.) ვითარება სტაბილურიდან ჯერაც შორსაა, ხოლო გარკვეული საფრთხეების წინაშე კონტინენტზე ყველაზე ძლიერი, გერმანიის ეკონომიკაც კი დგას.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაოდენ დიდია საქართველოს ეკონომიკურ სისტემაში გერმანული კაპიტალის, ცალკეული კომპანიების ჩართულობა, რამდენად მჭიდროა ჩვენი ეკონომიკური კავშირები, შეშფოთების ობიექტური საბაბი, ბუნებრივია, ჩვენც გვაქვს. ვითარების გაუმწვავებლობის გზას ექსპერტები ფისკალური ხარჯის შემცირებაში ხედავენ, რა მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიდის და ეს უეჭველად პოზიტიური მომენტია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „კეპიტელ ეკონომიკსის" ექსპერტები ევროზონის კრიზისთან მიმართებაში მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმით არ გამოირჩევიან. მათი აზრით, 2013 წლის შუაში კრიზისის რეციდივია სავარაუდო.

მნიშვნელოვანი რისკი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის შარშანდელი არასტაბილური ზრდა, თუმცა, წლის დამლევს ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში გამოსწორდა და, ამ საფუძველზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ წლეულს ზომიერი სტაბილური ზრდა იქნება. ამ მხრივ საგულისხმოა უძრავ ქონებაზე ფასების ზრდა, რაც, ფაქტობრივად, კრიზისის დასასრულს ნიშნავს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**⊙ ინფორმაცია**

## საქალაქო სასამართლომ გიორგი ბარათაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა

**თბილისის საქალაქო სასამართლომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ყოფილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა.**






**როგორც ბარათაშვილის ადვოკატმა, საია-ს იურისტმა ნათია კაპანაძემ განაცხადა, მოსარჩელე მხარის მოსაზრებას, ბარათაშვილის უკანონოდ გათავისუფლების შესახებ, სასამართლო დაეთანხმა. — მოსარჩელე მხარის საჩივარი, რომ გიორგი ბარათაშვილი აღდგენილი იყოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორად, ბათილად იყოს ცნობილი სამეურვეო საბჭოს მიერ გამოცხადებული უნდობლობის აქტი და ბარათაშვილს აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური, სრულად დაკმაყოფილებულია, — განაცხადა ნათია კაპანაძემ.**

**მისივე ინფორმაციით, გადაწყვეტილების გასაჩივრება მეორე მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის ვადაში შეუძლია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება, განაჩენი კანონიერ ძალაში შევა და გიორგი ბარათაშვილი „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორად დაბრუნდება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სატენდერო მოწვევა

## საქართველო
## მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტი (SLRP II)
## IDA 5078-GE; IBRD 8143-GE

### აღჭურვილობა საგზაო აქტივების მართვის სისტემისათვის
### SLRPII/G/ICB-01

1. წინამდებარე მოწვევას სატენდერო წინადადების წარმოსადგენად წინ უსწრებდა 2011 წლის 6 დეკემბერს ამ პროექტის თაობაზე "Development Business"-ის №5197 გამოცემაში გამოქვეყნებული ზოგადი შეტყობინება შესყიდვის შესახებ.

2. საქართველომ მიიღო კრედიტი და სესხი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისაგან და განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტისთვის (SLRP II) და განზრახული აქვს გამოიყენოს ამ სესხისა და კრედიტის ნაწილი SLRPII/G/ICB-01 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ასანაზღაურებლად.

3. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ დალუქული სატენდერო წინადადებები საგზაო აქტივების მართვის სისტემისათვის საჭირო აღჭურვილობის მოსაწოდებლად.

4. შესყიდვა ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტების პირობებით" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა ნებისმიერი პრეტენდენტისთვის, რომელიც არის მონაწილეობის უფლების მქონე ქვეყნიდან.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსს ბ-ნ ილია მესხიშვილს, ელ. ფოსტა: ინფო გეოროად.გე; სატენდერო დოკუმენტების გაცნობა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს:

**ლოტი 1:**

- პრეტენდენტის მინიმალური ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თითოეულ წელს უნდა იყოს 52,000 აშშ. დოლარი ან მისი ექვივალენტი;
- პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთი ან მეტი კონტრაქტის ფარგლებში საქონლის მოწოდება დასრულებულია და ხსენებული საქონელი მინიმუმ ბოლო წლის მანძილზე წარმატებით გამოიყენება.
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულია კონტრაქტის ფარგლებში იმ საქონელის მოწოდება რომელსაც თავად არ აწარმოებს, საქონლის დამამზადებლის ან მწარმოებლისგან უნდა გააჩნდეს სათანადო უფლებამოსილება შემსყიდველის ქვეყანაში საქონელის მოწოდებაზე.

**ლოტი 2:**

- პრეტენდენტის მინიმალური ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თითოეულ წელს უნდა იყოს 135,000 აშშ. დოლარი ან მისი ექვივალენტი;
- პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთი ან მეტი კონტრაქტის ფარგლებში საქონლის მოწოდება დასრულებულია და ხსენებული საქონელი მინიმუმ ბოლო წლის მანძილზე წარმატებით გამოიყენება.
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულია კონტრაქტის ფარგლებში იმ საქონელის მოწოდება რომელსაც თავად არ აწარმოებს, საქონლის დამამზადებლის ან მწარმოებლისგან უნდა გააჩნდეს სათანადო უფლებამოსილება შემსყიდველის ქვეყანაში საქონელის მოწოდებაზე.

**ლოტი 3:**

- პრეტენდენტის მინიმალური ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თითოეულ წელს უნდა იყოს 105,000 აშშ. დოლარი ან მისი ექვივალენტი;
- პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთი ან მეტი კონტრაქტის ფარგლებში საქონლის მოწოდება დასრულებულია და ხსენებული საქონელი მინიმუმ ბოლო წლის მანძილზე წარმატებით გამოიყენება.
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულია კონტრაქტის ფარგლებში იმ საქონელის მოწოდება რომელსაც თავად არ აწარმოებს, საქონლის დამამზადებლის ან მწარმოებლისგან უნდა გააჩნდეს სათანადო უფლებამოსილება შემსყიდველის ქვეყანაში საქონელის მოწოდებაზე.

**ლოტი 4:**

- პრეტენდენტის მინიმალური ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თითოეულ წელს უნდა იყოს 52,000 აშშ. დოლარი ან მისი ექვივალენტი;
- პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთი ან მეტი კონტრაქტის ფარგლებში საქონლის მოწოდება დასრულებულია და ხსენებული საქონელი მინიმუმ ბოლო წლის მანძილზე წარმატებით გამოიყენება.
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულია კონტრაქტის ფარგლებში იმ საქონელის მოწოდება რომელსაც თავად არ აწარმოებს, საქონლის დამამზადებლის ან მწარმოებლისგან უნდა გააჩნდეს სათანადო უფლებამოსილება შემსყიდველის ქვეყანაში საქონელის მოწოდებაზე.

ადგილობრივად დამზადებული გარკვეული საქონელისთვის უპირატესობის მინიჭების ზღვარი არ გამოიყენება. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტებში.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ. დოლარში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი:302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არა უგვიანეს **2013 წლის 31 მაისის 17:00 საათისა** ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2013 წლის 31 მაისის 17:00 სთ-ზე** ადგილობრივი დროით. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, კერძოდ:

**ლოტი 1:** 700 (შვიდასი) აშშ დოლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით.
**ლოტი 2:** 1,800 (ათას რვაასი) აშშ დოლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით.
**ლოტი 3:** 1,400 (ათას ოთხასი) აშშ დოლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით.
**ლოტი 4:** 700 (შვიდასი) აშშ დოლარის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით.

რამოდენიმე ლოტზე ფასის წარმოდგენის შემთხვევაში, მოწოდებული უნდა იქნეს ერთი საბანკო უზრუნველყოფის გარანტია მთლიან თანხაზე, როგორც ეს მოთხოვნილია ზემოთ. სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია ძლაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის (90 დღე) გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში.

9. ზემოთ ნახსენები მისამართია:
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
შესყიდვების სამმართველო, III სართული
ბ-ნი ილია მესხიშვილი, შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი
ტელ: + (995 322) 37-05-08 დამ.255
ფაქსი: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# Invitation for Bids

## Georgia

**Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**
**IDA 5078-GE; IBRD 8143-GE**

**Road Management System Equipment**
**SLRPII/G/ICB-01**

1. This Invitation for Bids follows the General Procurement Notice for this Project that appeared in *Development Business*, issue no. 5197 of December 06, 2011.

2. Georgia has received a credit and a loan from the International Bank for Reconstruction and Development and International Development Association towards the cost of the Second Secondary and Local Road Project (SLRP II), and it intends to apply part of the proceeds of this loan and credit to payments under the Contract for **SLRPII/G/ICB-01**.

3. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for supply of Road Management System Equipment.

4. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding (ICB) procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits*, and is open to all bidders from Eligible Source Countries as defined in the Guidelines.

5. Interested eligible bidders may obtain further information from Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit of the Roads Department of Georgia, email: i, and inspect the Bidding Documents at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

6. Qualifications requirements include:

**LOT- I**

- The bidder shall have a minimum turnover of 52,000 US Dollars or equivalent in each of the past three years;
- The Bidder shall demonstrate that it has completed supplies under one or more contracts during last 3 years and such goods have been in successful use at least for past year.
- in the case of a bidder offering to supply goods under the Contract which the bidder does not manufacture or otherwise produce, the bidder has been duly authorized by the goods' manufacturer or producer to supply the goods in the Purchaser's country;

**LOT- II**

- The bidder shall have a minimum turnover of 135,000 US Dollars or equivalent in each of the past three years;
- The Bidder shall demonstrate that it has completed supplies under one or more contracts during last 3 years and such goods have been in successful use at least for past year.
- In the case of a bidder offering to supply goods under the Contract which the bidder does not manufacture or otherwise produce, the bidder has been duly authorized by the goods' manufacturer or producer to supply the goods in the Purchaser's country;

**LOT- III**

- The bidder shall have a minimum turnover of 105,000 US Dollars or equivalent in each of the past three years;
- The Bidder shall demonstrate that it has completed supplies under one or more contracts during last 3 years and such goods have been in successful use at least for past year.
- In the case of a bidder offering to supply goods under the Contract which the bidder does not manufacture or otherwise produce, the bidder has been duly authorized by the goods' manufacturer or producer to supply the goods in the Purchaser's country;

**LOT- IV**

- The bidder shall have a minimum turnover of 52,000 US Dollars or equivalent in each of the past three years;
- The Bidder shall demonstrate that it has completed supplies under one or more contracts during last 3 years and such goods have been in successful use at least for past year.
- In the case of a bidder offering to supply goods under the Contract which the bidder does not manufacture or otherwise produce, the bidder has been duly authorized by the goods' manufacturer or producer to supply the goods in the Purchaser's country;

A margin of preference for certain goods manufactured domestically shall not be applied. Additional details are provided in the Bidding Documents.

7. A complete set of Bidding Documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written Application to the address below and upon payment of a non refundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

**For GEL transfer:**

Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

**For USD transfer:**
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

8. Bids must be delivered to the address below at or before **May 31, 2013, 17:00 Hours local time.** Electronic bidding will not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend in person at the address below at **May 31, 2013, 17:00 Hours local time.** The bids must be accompanied by a Bid Security as follows:

**Lot I:** 700 (Seven Hundred) United States Dollars or equivalent in a freely convertible currency;
**Lot II:** 1,800 (One Thousand Eight Hundred) United States Dollars or equivalent in a freely convertible currency;
**Lot III:** 1,400 (One Thousand Four Hundred) United States Dollars or equivalent in a freely convertible currency;
**Lot IV:** 700 (Seven Hundred) United States Dollars or equivalent in a freely convertible currency;

In case of bidding for several lots, one Bid Security for the combined amount, as required above, shall be submitted. The Bid Security shall remain valid for a period of 28 days beyond the validity period of the bids (90days).

9. The address referred to above is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and
Infrastructure of Georgia
Procurement Department, III Floor
Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit
12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.255
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: **www.georoad.ge**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**შაბათ-კვირის ჩანაწერები**

# „გუგუნებდეს ხმა — ანჯაფარიძეთა!



**აბა, სოფლელ ბიჭს, რა უნდა მცოდნოდა მის შესახებ? არადა, შევნატროდი — იქით ბაში-აჩუკის სიმღერა კინოფილმიდან, აქეთ — „მთაწმინდა დადგა სუფრის თამადად“... (რა თქმა უნდა, რადიოთი მოსმენილი)... შევნატროდი...**

ჰოდა, ისე მოხდა, რომ ჩემი პროფესიის წყალობით, შეიძლება ითქვას, ახლოს გავიცანი ზურაბ ანჯაფარიძე — უკვე ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალი, უკვე მსოფლიოს სახელგანთქმული საოპერო სცენების „დამპყრობი“, აბესალომის, რადამესის, გერმანის... და არაერთი სხვა საოპერო პარტიის ბრწყინვალე შემსრულებელი... ზურაბ ანჯაფარიძე — კარგა ხანს სული და გული მოსკოვის დიდი თეატრისა... მოგვიანებით კი ისევ მშობლიური სცენა, სიყვარული სიყვარულის წილ ქართველი ხალხისა... როგორი უშუალობა, როგორი უბრალოება ახლდა თან მის სიდიადეს...

— სჯობს დილიდან დავიწყოთო, ათ საათზე მოდიო, — დაბადების 60 წლისთავის გამო, ინტერვიუსთვის რომ შევიპირე. დაუგვიანებლად ავედი ფალიაშვილის ქუჩაზე... რა გულწრფელად, რა ღიმილით საუბრობდა, თან ცოტ-ცოტას წრუპავდა წვრილი ჭიქიდან ღვინოს... არ შემოგვაკლო არაფერიო, აქეზებდა მეუღლეს — მარინა მაჭავარიანის ქალს...

...რა იყო ეს... როგორ არ დაინდო ავადმყოფობამ!..

16 წელი გასულა ზურაბ ანჯაფარიძის გარდაცვალებიდან, 12 აპრილს იგი 85-ისა გახდებოდა. წარმოგიდგენიათ, უფროსი ასაკის თბილისელებო, ამ ხნის ზურიკო?.. მე რომ მკითხონ, მისი სიკისკასე, მისი სილაღე ვერ იგუებდა ამ ხნოვანებას... დაე, გვახსოვდეს იგი, როგორც გვახსოვს — ახალგაზრდული სულით, ახალგაზრდული გულით, ჩამხუტებელი, მომფერებელი, საოპერო სცენის რაინდი...

16 წელიწადია, ზურაბ ანჯაფარიძის დაბადების დღეს — 12 აპრილს — ოპერის ბაღში, მომღერლის საფლავთან ხვდებიან ერთმანეთს ზურიკოს ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები...

ასე იყო ამჯერადაც... მოდიან ნაცნობ-მეგობრები, თაყვანისმცემლები, ხანმოთეული კოლეგები... არავითარი ოფიციალური სიტყვა, ანდა, რა უნდა თქვა ახალი ზურაბ ანჯაფარიძეზე?.. ისევ ჯობს ერთმანეთს გაუზიარონ ზურაბთან ერთად გატარებული დღეების ჯერ კიდევ შემორჩენილი სითბო... ხან იუმორით, ხან სევდით...

აი, ლელა ანჯაფარიძე, მშვენიერი ლელა, ზურაბის საყვარელი ძმის, რეჟისორ ჯემალ ანჯაფარიძის ქალიშვილი: — **შეიძლება ითქვას, რომ აი, ამ შენობაში გავიზარდე,** — მეუბნება ღიმილით და ხელს საოპერო თეატრისკენ იშვერს, — **ამჟამად სტამბოლში, გენერალურ საკონსულოში ვმუშაობ... ძალიან მინდოდა, რომ დღეს აქ ვყოფილიყავი...**

ეს კი უმცროსი **ზურაბ ანჯაფარიძეა,** მამის იმედი, როგორც ამბობენ, შესანიშნავი ტენორისა და ფართო დიაპაზონის პატრონი. **— მოსკოვში ვსწავლობდი,** — მეუბნება ზურიკო, — **ახლა ჩამოვედი, ალეკო ხომერიკთან ვმეცადინეობ, ვემზადები და, ერთი წლის შემდეგ, ვაპირებ, მივიდე ოპერაში კონსერვატორიის კურსებგაუვლელად...**

ღმერთი და მამის ნათელი ჰფარავდეს „ზურაბ მეორეს“! „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა!“

ვნახოთ!

ნელ-ნელა მთავრდება შეხვედრა ძვირფასი ადამიანის საფლავთან და ოპერის ბაღსა და რუსთაველს ეფინება ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლის ანსამბლ „ბიჭების“ (ხელმძღვანელი არჩილ უშვერიძე) მიერ უზადოდ შესრულებული „მრავალჟამიერი“.

მაშ, „მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა“ — ანჯაფარიძეთა!

# იქნებ, ასე დავამარცხოთ „კახური სეტყვა?!“

**ისევ სტიქიური მოვლენა, ისევ სეტყვა და უბედურება კახეთში!.. ისევ დაზაფრული, ისევ სახეჩამომტირალი გლეხობა!.. მორჩა წლის მოსავალი, თელავის სოფლებში — რუისპირში, იყალთოში, წინანდალში... ქვა-ქვაზე არ დატოვა სტიქიამ!..**

ასეთი რამ ხშირად უნახავს მრავალჭირგამოვლილ კახეთს, მეტიც უნახავს — აგერ, შარშან არ იყო?!.

უფროსი თაობის ადამიანებს გვახსოვს, კომუნისტების დროს, რაკეტებს რომ უშვებდნენ ავადწამოშლილი სეტყვის ღრუბლების დასაშლელად, შედეგიც, თითქოს, არ იყო ურიგო, მაგრამ ეგ „სიამოვნება“ ძალიან ძვირი ჯდებოდაო, უარყოფითიც გვარიანად ჰქონდა იმ სროლებსა და ბრახაბრუხსაო...

მოკლედ, კარგა ხანია, ბომბებით აღარ შლიან საავდრო ღრუბლებს კახეთში და დარჩენილია ეს მადლიანი კუთხე ღვთის იმედად, მაგრამ, ის დალოცვილი, ყოველთვის როგორ შეგვეწევა?!.

ცნობილია, რომ ღვინის კლასიკურ ქვეყნებში ფერმერები მეტად გონივრულ თადარიგს იჭერენ სეტყვის ღრუბლების გამოჩენისას. მე, პირადად, ტელევიზორში მინახავს: როგორც კი იგრძნო ფრანგმა მევენახემ, რომ სეტყვას აპირებდა, დააჭირა დენის ჩასართველ ღილაკს თითი და რამდენიმე ჰექტარი ვენახის ფართობს წუთში გადაეფარა ბადე... მართლაც, მალე წამოვიდა სეტყვა, რომელიც ეცემოდა ბადეს, კარგავდა ძალას და წყლად ჩამოდიოდა მიწაზე. ცოტა ხანში სეტყვა შეწყდა, მზემაც გამოაჭყიტა და სტიქიაზე გამარჯვებულმა მევენახემ, ისევ ღილაკზე თითის დაჭერით, ვენახის თავში გადაუშვა ბადე აკურატულად. აი, ეს არის ნაღდი საშველი წლის მოსავლის გადასარჩენად!.. სხვათა შორის, გააკეთეს მსგავსი რამ, კარგა ხნის წინათ, ჩვენთანაც, თუ არ ვცდები, მანავში, ერთგან გადააფარეს ვენახს ბადე, მაგრამ, განა სეტყვის მოლოდინში, მომენტალურად... გადააფარეს და გადააფარეს — გაზაფხულიდან შემოდგომამდე, რამაც უარყოფითად იმოქმედა (ჩაიხუთა ვაზი) ფოთოლზე, მტევანზე...

ერთი სიტყვით, რაც იყო, იყო... ჰოდა, დღეს, როდესაც ახალი ხელისუფლება, მართლაც რომ ფიქრობს ქართული სოფლის აღორძინებაზე, რაც შეიძლებოდა, ხომ დაეხმარა კიდეც კახეთს შარშანდელი ზარალის ანაზღაურების მხრივ, **იქნებ, სეტყვისგან დამცავი ბადის შეძენაშიც უშველოს კახელ მევენახეს?! ოღონდ, მხოლოდ იმას, ვინც ვაზის მოვლა-პატრონობასაა გადაყოლილი, და, არა, ზოგი მისი მეზობელივით, მთავრობისგან მიღებული შარშანდელი დახმარებით, „მერსედესი“ არ შეუძენია, ვაუჩერი არ გაუყიდია და თავაუღებელი შრომით ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს მშობლიური სოფლის აღორძინებაში, თვითონაც იხეიროს ყურძნის მოსავლის სიუხვით და ქვეყანასაც წაადგეს!**



**იქნებ, დაფიქრდეს ამის თაობაზე ქვეყნის მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და კონკრეტულად მიხედონ დღემდე ასერიგად გადაუჭრელ პრობლემას — „კახური სეტყვის“ დამარცხებას?!**

ყოველივე ზემოთქმული, მხოლოდ კერძო აზრია, ჩემი თვალსაზრისია, რომელიც შეიძლება „ზემდგომებმა“ და სპეციალისტებმა, ცოტა, გულუბრყვილოდაც კი მიიჩნიონ და ათასი მიზეზი დაასახელონ, რაც ხელს შეუშლის კახეთში ვენახების ბადით გადახურვას, მაგრამ, მე, პირადად, სხვა გამოსავალსაც ვერ ვხედავ სეტყვის დასამარცხებლად და, რაც ვთქვი, მხოლოდღა გულშემატკივრის პოზიციაა.

დანარჩენი ხელისუფლებისა და სპეციალისტების საქმეა და ღმერთი შეეწიოთ ამ საქმეში!

# „იდიდე წიგნო, იდიდე, ქართული სულის ლაზათო!“



**რა უმალ გადის დრო და წუთისოფელი — 35 წელი გასულა ქართული ენის „გადარჩენის“ დღიდან, იმ მღელვარე 14 აპრილიდან.**

...შემოვარდა „კომუნისტის“ რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში ცხონებული ოტია იოსელიანი, ერთიანად უბრწყინავდა სახე, ნახეთ, რა მოხდაო?! ნახეთ, ახალგაზრდებმა როგორ გამოიდეს თავიო?!.. აბა, უნივერსიტეტი რის უნივერსიტეტიაო!.. ადექით, ადექით ახლა, გუშინდელი ღომი მაქვს, გავაფიცხებ, მჭადებს დავაცხობ, ღორის შაშხი ხომ გიყვართ... მე არ ვჭამ... ღვინო მაქვს... დავლოცოთ დღევანდელი დღე!..

ავედით საირმეზე ოტიასთან, დავილოცეთ... მოვილხინეთ... 35 წელი გასულა... თითქმის მთელი ცხოვრება...

...„დედაენის ბაღში“ ელგუჯა ამაშუკელის „დედაენის ძეგლთან“ ხალხმრავლობაა, ჩუღურეთის რაიონის განათლების განყოფილების ღონისძიებას, რომელიც „დედაენის დღეს“ ეძღვნება, უამრავი ხალხი ესწრება. რა გასაკვირია, ახალგაზრდები და ნორჩი თაობა სჭარბობს, მიდამოს ეფინება მშობლიური ენისა და იაკობ გოგებაშვილის ქება-დიდება, გამოდიან „ჩუღურეთელი პოეტები“, ჩვენი მეგობრები თემურ ჩალაბაშვილი და ერეკლე საღლიანი. ერეკლემ ლექსიც დასჭექა... მერე სახელდახელოდ მოწყობილი სცენა ეთმობა ნორჩ მომღერლებსა და მოცეკვავეებს... მზიანი დარია, შესანიშნავი განწყობაა, ჩუღურეთის მრავალეროვნული რაიონიდან, ქართველებთან ერთად, დედაენის სიდიადის დასაფასებლად აქ არიან სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები, აისორები, ბერძნები... მოგვიანებით, „დედაენის ძეგლთან“ მოვიდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, პარლამენტარები, „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“ წარმომადგენლები, აქვე გადაწყდა, რომ აწი, 14 აპრილს, აღინიშნოს **„დედაენის დღე — იების დღე“**. რა სჯობს!.. ქართველების უამრავი თაობა ხომ დედაენის „აი იას“ სურნელმა გაგვზარდა?!

და, როგორ არ გამახსენდეს აქ კიდევ ერთხელ შოთა ნიშნიანიძის ბრწყინვალე ლექსის სტრიქონები:

**„იდიდე წიგნო, იდიდე,**
**ქართული სულის ლაზათო,**
**ღმერთი თუ არა, ღმერთკაც**
**იქნება კიდევ გაზარდო“.**

ნეტამც!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურსათის ხარისხი**

# ვჭამოთ თუ არა „ნიკორას“ სოსისი?

**დრო და დრო პრესაში მეტად არასასიხარულო ცნობები ჩნდება ხოლმე ამა თუ იმ სასურსათო საქონლის სანიტარიულ ნორმებთან შეუსაბამობაზე. ამის შესახებ ჩვენს გაზეთში ადრეც არაერთხელ დაწერილა, თუმცა კი იმის თაობაზეც გვითქვამს, რომ კვების პროდუქტების ხარისხის მაკონტროლებელ მთავარ ორგანოს, კერძოდ, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს, მოქმედი კანონმდებლობით, ასეთი არაკეთილსაიმედო პროდუქციის მწარმოებლის საჯაროდ დასახელების უფლება არა აქვს. ამდენად მომხმარებლისთვის მსგავსი ფაქტები, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, უცნობი რჩება.**

ასე იქნებოდა, ალბათ, ამჯერადაც, რომ რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ანონიმური მომხმარებლისგან გახდა ცნობილი, რომელმაც ამა წლის 4 თებერვალს თბილისში, მოსკოვის პროსპექტზე, კომპანია „ნიკორას“ საფირმო მაღაზიაში ასაწონი რძიანი სოსისი შეიძინა და მაღაზიის შეფუთვიანად, ანუ სტერილური პარკიანად შესამოწმებლად ლაბორატორიას ჩააბარა. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხით სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რედაქცია სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს ქალბატონ **ვერიკო გულუას** დაუკავშირდა, რომელმაც კიდევ ერთხელ განგვიმარტა, რომ მათ უწყებას არაკეთილსაიმედო საქონლის მწარმოებლის ვინაობის გამხელის უფლება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არა აქვს, თუმცა კი მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით მასალა „მომხმარებელი ჯი.“-ს საიტზე დევსო. იგივე ინფორმაცია დაგვიდასტურეს ასევე საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ცხელ ხაზზე, თუმცა, მათაც წყაროდ იგივე ვებ-გვერდი დაგვისახელეს. იქ კი, კერძოდ, ნათქვამია, რომ **„შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სოსისის ნიმუში სანიტარიული მაჩვენებლების მიხედვით არ შეესაბამება „ჰიგიენურ მოთხოვნებს სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი“ სანიტარიული წესებისა და ნორმების სანწდან 2.3.2 000-00 მოთხოვნებს. კერძოდ, მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ ანაერობული მიკროორგანიზმების რაოდენობამ შეადგინა 2500 კწე/გ, ნაცვლად 1000 კნე/გ-ში“.**

სიმართლე გითხრათ, მითითებული მონაცემების გაშიფვრა სპეციალისტების გარეშე, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა, მაგრამ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურში ზემოთ მოყვანილ ნათქვამს არაფერი დაუმატეს, ასევე აღარაფერი თქვეს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრშიც, თუმცა კი ფაქტი ფაქტად რჩება — **„ნიკორას“ აღნიშნული პროდუქცია საკვებისადმი წაყენებულ სანიტარიულ სტანდარტს არ შეესაბამება, რის გამოც, ალბათ, ფირმა სოლიდურად დაჯარიმდება, მის პროდუქციას კი ეს კარგ სამსახურს ნამდვილად არ გაუწევს.**

**ოთარ ტურაბელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ძალოსნობა

# ორი ალბანური ბრინჯაო



**ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში დამთავრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ხუთი ათლეტიც მონაწილეობდა. ჩვენებურთაგან ფიცარნაგზე პირველი გავიდა კონტინენტის 2012 წლის ჩემპიონი რაულ ცირეკიძე, რომელიც 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ცდიდა ძალებს. შარშან მან ანტალიაში 165 კილოგრამი აიტაცა, 201 კილოგრამი აკრა და ორჭიდში 366 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა. ამჯერად ცირეკიძემ საბოლოო ჯამში 4 კილოგრამით მეტი მოაგროვა (165+205=370), მაგრამ მესამე ადგილს ვერ ასცდა. 388 კილოგრამით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რუსეთელი აპტი აუხადოვი (173+215). გამარჯვებულს 13 კილოგრამით ჩამორჩა ბულგარელი ივან მარკოვი (170+205) და ორჭიდთან ერთად აკვრაშიც ვერცხლის მედალი ერგო, რადგან პირადი წონით ცირეკიძეზე მსუბუქი აღმოჩნდა.**



105 კილოში ორი წარმომადგენელი გვყავდა: 23-წლამდელებში ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი დავით გოგია და ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დიდ სპორტში დაბრუნებული ალბერტ კუზილოვი.

გოგიამ მესამე ცდაზე 183 კილოგრამი დაძლია, რამაც მას მცირე ვერცხლის მედალი მოუტანა. ამ მოძრაობაში გამარჯვებულმა მაქსიმ შეიკომ (რუსეთი) ერთი კილოთი აჯობა. 181 კილოგრამით მესამე იყო დავიდ ბეჟანიანი (რუსეთი). კუზილოვმა სამიდან მხოლოდ ერთი ცდა გამოიყენა და 180 კილოთი მეოთხე იყო. აკვრაში ამ კვარტეტს კუზილოვი გამოაკლდა – საწყისი წონა 216 კილოგრამი ვერ დაძლია. გოგიამ 218-კილოიანი შტანგა დაიმორჩილა, 222-ს კი ვერ მოერია, არადა, ვარჯიშებზე 225 კილოც აუკრავს. ამ მოძრაობაში პირველ-მესამე ადგილებზე დავით ბეჟანიანი (რუსეთი, 230), არტურ პლეიშნიეკსი (ლატვია, 222) და მაქსიმ შეიკო (რუსეთი, 220) გავიდნენ. ჩვენებურმა ორჭიდში 401 კილოგრამი მოაგროვა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ოქრო და ვერცხლი რუსეთის ნაკრების წევრებმა – ბეჟანიანმა (411 კგ) და მაქსიმ შეიკომ (404 კგ) გაინაწილეს.

მძიმე წონაში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, ლონდონის ოლიმპიადის მეხუთეადგილოსანმა ირაკლი თურმანიძემ ამჯერად საკუთარი შედეგების გამეორება ვერ შეძლო – 412 კილოგრამით (192+220) მე-4 ადგილზე გავიდა, არადა, ატაცში 192 კილოგრამით მცირე ბრინჯაოს მედალი ხვდა. **კვარცხლბეკი კი ასე განაწილდა:** 1. რუსლან ალბეგოვი (რუსეთი)– 442 კგ (195+247), 2. არტიომ უდაჩინი (უკრაინა) – 442 (200+242), 3. ირჟი ორსაჟი (ჩეხეთი) – 422 (185+220). 94 კილოში ვაჟა ღონღაძეს მე-7 ადგილი ერგო.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: დავით გოგია; რაულ ცირეკიძე კვარცხლბეკზე (მარჯვნიდან პირველი).**

თაობა

# ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა წარმატება კვიპროსზე

**საქართველოს სამბისტთა ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებები წარმატებით გამოვიდნენ კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე.**

ახალგაზრდულმა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა, ჭაბუკთა ნაკრები კი მე-2 ადგილზე გავიდა.

სამბოს ეროვნული ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ჩვენმა ასაკობრივმა ნაკრებებმა ჯამში 18 მედალი მოიპოვეს – 6 ოქრო, 2 ვერცხლი და 10 ბრინჯაო. ისინი თბილისში დღეს ბრუნდებიან.

**ჭაბუკთა ნაკრები:**

**ოქრო** – თორნიკე ნაგლიაშვილი (48 კგ),
თორნიკე ჭოველიძე (60 კგ).

**ბრინჯაო** – სოლომონ თედიაშვილი (56 კგ),
გიგა ნოზაძე (70 კგ),
აპოლონ ზურაბიანი (75 კგ),
ირაკლი გოგია (81 კგ),
ჯონი ჭითანავა (87 კგ),
ჯემალ დაბრუნდაშვილი (+87 კგ).

**ახალგაზრდული ნაკრები**

**ოქრო** – ლუხუმ ჩხვიმიანი (62 კგ),
ბექა ტუღუში (68 კგ),
მიხეილ მეზურნიშვილი (74 კგ),
უშანგი მარგიანი (82 კგ).

**ვერცხლი** – გიორგი მელქუაშვილი (48 კგ),
გუგა კიბორძალიძე (+100 კგ).




**ბრინჯაო** – ლერი ბედინაძე (52 კგ),
თორნიკე მუზაშვილი (57 კგ),
ილია მალვენიშვილი (90 კგ),
თორნიკე ოთინაშვილი (100 კგ).

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# ქუთაისის გავლით – ფლეი ოფისკენ

**სუპერლიგის უკანასკნელმა ტურმა საბოლოოდ დააზუსტა ეროვნული ჩემპიონატის მეოთხედფინალური წყვილების შემადგენლობა.**

მაშ ასე, 23 აპრილიდან სპორტკომპლექს „არენაში" ფლეი ოფების სერიაში 2 მოგებამდე ერთმანეთს შეხვდებიან „ოლიმპი " – თსუ, შსს – „სოხუმი" (ზედიზედ მესამედ. შეგახსენებთ, რომ შარშან და შარშანწინ ზღვისპირელებმა იმარჯვეს), „არმია" – „დინამო", „რუსთავი" – „ქუთაისი" (მიმოსვლით).

**გაუწყებთ რეგულარული სეზონის უკანასკნელი მატჩების შედეგებს:** „ქუთაისი" – „სოხუმი" 87:76, „რუსთავი" – „ბათუმი" 84:73, „ოლიმპი" – „არმია" 88:56, „დინამო" – სტუ 111:88, შსს აკადემია – „სამედიცინო" 104:31 (შედეგიანობის ანტირეკორდი). ისვენებდა თსუ.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ოლიმპი", შსს აკადემია – 17-17, „რუსთავი", „არმია" – 14-14, „დინამო" – 13, „ქუთაისი" – 12, „სოხუმი" – 9, თსუ – 6, „ბათუმი" – 5, „სამედიცინო" – 2, სტუ – 1 მოგება.

ფლეი ოფების სტარტამდე ქუთაისი სუპერლიგის ყველა ვარსკვლავის ტრადიციულ მატჩ-აქციას უმასპინძლებს, რომელიც 20 აპრილს 15 საათზეა დანიშნული. ღონისძიების მონაწილეთა შერჩევა სუპერლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე 13 აპრილს 12 საათზე დაიწყება და 19 აპრილის 12 საათამდე გაგრძელდება.

ხმის მიცემის პროცედურით გათვალისწინებულია გულშემატკივართა მიერ ქართველ და ლეგიონერ კალათბურთელთა გუნდების სასტარტო ხუთეულების საკუთარი ვარიანტების გამოვლენა: 2 უკანახაზელი, 2 ფორვარდი და 1 ცენტრი.

გამოკითხვის პარალელურად, ორივე გუნდის დარჩენილ 7-7 მოთამაშეს მწვრთნელები პირადი შეხედულებისამებრ დაასახელებენ. მომავალ შოუში მონაწილეობა თითოეული კლუბის მაქსიმუმ 5 წევრს შეეძლება.

ყველა ვარსკვლავის მატჩთან ერთად მოეწყობა კონკურსები სამქულიან ტყორცნებსა და ბურთის კალათში ჩატენვებში. სნაიპერთა კონკურსში მონაწილეობას ის მოთამაშეები მიიღებენ, რომლებსაც მიმდინარე გათამაშებაში შორეული დისტანციიდან ბურთის კალათში ჩაგდების საუკეთესო პროცენტული მაჩვენებლები აქვთ. რაც შეეხება ჩატენვების კონკურსს, მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

როგორც ყოველთვის, საგანგებო ჟიური „ოლ სთარზის" საუკეთესო კალათბურთელსაც გამოავლენს.



რაგბი

# „ოქროს" მაძიებელთა რიგები შეთხელდა

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა – დაიწყო პლეი ოფები და მედლების მფლობელებიც მალე გამოვლინდებიან. რეგულარულ გათამაშებაში მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გასული „ჯიქები" და „არმაზი" წლევანდელი სეზონის აღმოჩენად მონათლეს. „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შეხვედრა „ჯიქების" აქტიურობით დაიწყო და მატჩის მე-17 წუთზე ანგარიშიც მათ გახსნეს – ხარაზიშვილმა საჯარიმო ზუსტად დაარტყა.** შემდეგ „არმაზმა" მდგომარეობა გამოასწორა და ტაიმიც ფრედ 10:10 დასრულდა. შესვენების შემდეგ არმაზელებმა იძალეს და მატჩიც მოიგეს – 23:18, რითაც ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობენ – გასავარდნ ფინალში სტუმრად ქუთაისის „აიას" დაუპირისპირდებიან. რიონისპირელებმა, თავის მხრივ, საკუთარი კედლების დახმარებით „ლოკომოტივი" დაჯაბნეს. გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ „აიამ" რეგულარულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და საკუთარ მოედანზე თამაშის უფლება მოიპოვა. საგულისხმოა, რომ „აიამ" წლევანდელ ჩემპიონატში ორად ორი ფრე ითამაშა და ორივე „ლოკომოტივთან": ქუთაისში პაექრობა 25:25, თბილისში კი 13:13 დასრულდა. ამჯერად „აიამ" მოგების შანსი ხელიდან არ გაუშვა და „ლოკომოტივი" დაამარცხა. მართალია, პირველი ტაიმი შედარებით თანაბარ პაექრობაში გაილია, მაგრამ




მატჩის მეორე ნახევარი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და „აიამ" დამაჯერებლად გაიმარჯვა - 35:16, რითაც შემდეგ ეტაპზე გავიდა და, როგორც აღვნიშნეთ, მომავალ კვირას საკუთარ მოედანზე თბილისის „არმაზს" დაუპირისპირდება.

**20 აპრილი**
**გასავარდნი ფინალი**
**„აია" – „არმაზი"**
**შესარჩევი ფინალი**
**„არმია" – „ლელო"**

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XXVII ტური.** „ზესტაფონი" – „დინამო" 0:1 (ხმალაძე), „ჩიხურა" – „დილა" 1:2 (დეკანოიძე; მოდებაძე), „ტორპედო" – „ბაია" 2:0 (ტუღუში, გრიგალაშვილი).

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო" – 63, „დილა" – 59, „ტორპედო" – 54, „ჩიხურა" – 50, „ზესტაფონი" – 39, „ბაია" – 36 ქულა.

* * *

**იტალია.** „მილანი" – „ნაპოლი" 1:1, „ტორინო" – „რომა" 1:2, „ატალანტა" – „ფიორენტინა" 0:2.

**ესპანეთი.** „სარაგოსა" – „ბარსელონა" 0:3, „ბილბაო" – „რეალი" 0:3, „ატლეტიკო" – „გრანადა" 5:0.

**გერმანია.** „ბაიერნი" – „ნიურნბერგი" 4:0, „შალკე" – „ლევერკუზენი" 2:2, „ფიურტი" – „ბორუსია" 1:6.




**ინგლისი. ლიგის თასი. ნახევარფინალი.** „ჩელსი" – „სიტი" 1:2, „მილუოლი" – „უიგანი" 0:2.

**გიორგი შოთაძე**

ბატუტზე ხტომა

# კვარცხლბეკზე – ნაცნობი სახე(ლ)ები

**გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში სამ დღეს გრძელდებოდა ბატუტზე მხტომელთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის 108 წარმომადგენელი იბრძოდა სხვადასხვა ასაკში მედლებისთვის.** სპორტის ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის პროგრამებით საპრიზო ადგილებზე ფავორიტები გავიდნენ, რომლებსაც არაერთხელ მოუპოვებიათ ქვეყნის ჩემპიონის სახელი. ესენი არიან – ორი ოლიმპიადის ფინალისტი ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე, თეონა ჯანჯღავა, ნანა გოგაშვილი, გიორგი ფუტკარაძე და სხვები. კვარცხლბეკზე ვიხილეთ ქუთაისისა და ბათუმის წარმომადგენლებიც. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა გვითხრა, რომ კონკურენცია უფრო გაიზრდება, რადგან შეჯიბრებებში მალე გორელი, რუსთაველი, ხაშურელი და ლანჩხუთელი სპორტსმენებიც ჩაერთვებიან. „ეს შეჯიბრება, ფაქტობრივად, რისკის ქვეშ ჩავატარეთ, რადგან ხუთი წელიწადია, ამ ბატუტებს ვიყენებთ, ამორტიზებულია – ზამბარები და ბადეები გაწელილია. სპორტის სამინისტრო დაგვპირდა ახალ ინვენტარს. იმედია, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც ოქტომბრის მიწურულს გაიმართება, ახალ ბატუტებზე მოვემზადებით", – დასძინა ზაურ სულაშვილმა.



**კვარცხლბეკი**

**სპორტის ოსტატის პროგრამით. გოგონები.** 1. ლუბა გოლოვინა (54,60), 2. თეონა ჯანჯღავა (52,81), 3. ნანა გოგაშვილი (50,33). **ვაჟები.** 1. თენგიზ კოშკაძე (56,28), 2. ზურაბ ნოზაძე (53,38), 3. გიორგი ფუტკარაძე (ექვსივე – თბილისი, 51,46).

**სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. გოგონები.** 1. ქრისტინე სორდია (89,98), 2. ნუცა ჭკუასელი (ორივე – თბილისი, 75,68), 3. ბარბალე ბაღათურია (ქუთაისი, 71,62). **ვაჟები.** 1. გიორგი ნაცვლიშვილი (თბილისი, 76,35), 2. ონისე თვალავაძე (74,44), 3. თორნიკე ბარბაქაძე (ორივე – ქუთაისი, 73,59).

**პირველი თანრიგის პროგრამით. გოგონები.** 1. სოფიო დაშნიანი (თბილისი, 76,75), 2. დიანა ფოთელიძე (ბათუმი, 75,82), 3. ირინა ხუციშვილი (თბილისი, 64,61).

**სინქრონული ხტომები. გოგონები.** 1. ქრისტინე სორდია, ნატა ჩადუნელი (76,1), 2. ნანა გოგაშვილი, თამარ კაკაშვილი (ორივე – თბილისი, 75,2), 3. მერი გვიანიძე, თამარ ღურწკაია (ბათუმი, 50,7). **ვაჟები.** 1. თენგიზ კოშკაძე, გიორგი ფუტკარაძე (80,4), 2. ვალერი ბიძიშვილი, სერგო ბიძიშვილი (64,1), 3. ზურაბ ნოზაძე, ლაშა გაზაშვილი (სამივე – თბილისი, 24,2).

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ბატუტზე მხტომელთა ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულები და პრიზიორები.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ პროვოკაცია თუ...

# ორასლარიანი ფორთოხალი, თვალებხატულა პროვოკატორი და...

## რატომ ვამწარებთ ხალხს და ვის წისქვილზე ვუშვებთ წყალს?

**ათასი ჭორ-მართალი დადის ქალაქში ფინანსთა სამინისტროს შემოსავალთა სამსახურის თანამშრომლების უსულგულობასა და იმ ათასგვარ მაქინაციებზე, რომლითაც ცდილობენ ამა თუ იმ მცირე მეწარმეთაგან სადამსჯელო ოპერაციებით ფულის ამოღებას. რას იზამთ, იტყვის მავანი, ამით ხომ ბიუჯეტიც იზრდება და ფულის გადამალვას ჩვეულ გამყიდველებსაც ჭკუას ასწავლიანო. მოკლედ, ჭორებს არ დავუჯერებდი. გუშინ დილით თავად რომ არ შევსწრებოდი შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა დანაშაულებრივ, დიახ დანაშაულებრივ ქმედებას.**

ნაძალადევში, ზესტაფონის ქუჩის №11-ში ელგუჯა აბრამიძეს პაწაწინა ჯიხური აქვს გახსნილი, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „მინიმარკეტი“. სწორედ მას მიადგა თვალებხატულა გოგონა და მაღაზიის წინ მდგარ მეპატრონეს ერთი კილოგრამი ფორთოხალი მოსთხოვა, თან ათლარიანი გაუწოდა. გამყიდველმა ხილი აუწონა, ფულით მაღაზიაში შებრუნდა, რათა ხურდა დაებრუნებინა. ამ დროს მეორე კლიენტმა ბორჯომი მოითხოვა და დახლზე ხუთლარიანი დაუდო, რომელიც გამყიდველმა გოგონას დაუბრუნა და თან მიაძახა დაიცადე ჩეკს „ამოვარტყამო“ (ადრეც გაეხვია ამგვარ ხათაბალაში, უშუქობის გამო ჩეკი, რომ ვერ გამოწერა და 500 ლარით დააჯარიმეს), მაგრამ გოგონამ გზა განაგრძო, მერე კი იქვე მდგარ ახალგაზრდასთან ერთად დაბრუნდა და ოქმის შედგენა დაიწყო. შემდგომ აღმოჩნდა, რომ ეს თვალებხატულა გოგონა შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი ლელა შალიკაშვილი ყოფილა და, როგორც თვითონ განაცხადა, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

კარგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაა, როდესაც თავად სჩადიხარ უკანონობას და სამსახურსაც სახელს უტეხ. ამ დროს პატრულის თანამშრომლებიც მოვიდნენ, რომელიც თავად მოქალაქეებმა გამოიძახეს.

რატომ გაიქცა და ჩეკი არ მოითხოვა — ამ კითხვაზე ლელა არ პასუხობს, ხოლო ამ სამსახურის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც თავად შემოსავლების სამსახურის აგენტებმა გამოიძახეს, გვამუნათებს, რომ იგი კანონის სრული დაცვით მოქმედებდა — არ არის ჩეკი, ესე იგი, დამნაშავე გამყიდველიაო. ჩეკი, რომ მოეთხოვა და მიეღო, რაღა შემოწმება იქნებოდაო.

აფერუმ კარგი სამართალი ჰქონიათ შემოსავლების სამსახურში.

უფრო მეტიც, გოგონამ ნაყიდი ფორთოხალი უკან დააბრუნა, რადგან თურმე ფული სამსახურისა იყო. „ჩვენ პრაქტიკაში არის ასეთი მეთოდი, თუ თავად არ აღმოჩნდი „დაზარალებული“, მაშინ პასუხსაც ვერ აგებინებ დამნაშავესო“.

ერთი ქალბატონ ლელას უნდა ვკითხო, **გამყიდველს რომ ჩეკი „ამოერტყა“, ის ხუთლარიანი ხომ დაგეკარგებოდათ და თქვენი სამსახურის ბიუჯეტი ხომ ხუთი ლარით შემცირდებოდა?!**



**თქვენი საქციელი სწორია და თუ ამას მართლაც კანონის ძალა აქვს, მაშინ საქმისადმი თქვენი სამსახურის მიდგომაც, მომიტევეთ, მაგრამ, არც მეტი არც ნაკლები პროვოკაციაა. თქვენნაირ ხალხს კი პროვოკატორები ჰქვია.**

თუ ჩვენი მთავრობა ამგვარი გზით და ასეთი პროვოკაციებით ცდილობს ე. წ. ბიუჯეტის შევსებას, ვერ ყოფილა მთლად კარგად ჩვენი საქმე, ხოლო თუ ეს რიგითი თანამშრომლების მხრიდან აღებული ინიციატივაა, რაც სახელს უტეხს არა მარტო შემოსავლების სამსახურს, არამედ ფინანსთა სამინისტროსაც, მაშინ ხელმძღვანელობამ დროულად უნდა მიხედოს ამ საკითხს და ამგვარი პროვოკატორებისგან გაათავისუფლოს თავისი უწყება.

ვის წისქვილზე უშვებს ეს წყალს?

სწორედ ზესტაფონის ქუჩის მაგალითიც კმარა იმისთვის, რომ მოქალაქეთა აზრი გავიგოთ.

● **„ესენი ნაცები და მიშას დატოვებული ნაძირალები არიან, ოქტომბრამდე მოვითმინოთ და დედა ეტირებათო“:**

● **„ხალხს სპეციალურად ამწარებენ, ისევ ნაციონალებს დაუდექით გვერდითო“;**

● **„ესენი ისე გაამწარებენ ხალხს, რომ 19 აპრილს ვანოს მიტინგს შეუერთდებიანო“.**

ასე რომ, ნანატრი „თავისუფლება“ ნელ-ნელა წარსულის ნოსტალგიაში რომ არ გადავიდეს, დროა, მიხედონ ხალხის გასაჭირს და კოჰაბიტაციით დამყარებული დაუსჯელობის სინდრომი უკან არ მიუბრუნდეს მეოცნებე მთავრობას.

ერთიც უნდა აღვნიშნოთ, რანაირადაც არ უნდა გაგვიკვირდეს ( მე მართლაც გამიკვირდა), პატრულის თანამშრომლებმა ოქმი შეადგინეს, სრული სიმართლე ჩაწერეს და მოწმეებსაც ხელი მოაწერინეს, რითაც ხალხის გული მოიგეს, შემოსავლების სამსახურის პროვოკატორებმა კი უტიფრად დააგდეს სიტყვა — ყველაფერს სასამართლო გაარკვევს, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთო, და წავიდნენ.

**სასამართლოში კი გუჯა აბრამიძემ უნდა იჩივლოს, ფული გადაიხადოს, ადვოკატიც აიყვანოს. ამას სულ ცოტა სამი ოთხი თვე დასჭირდებაო, მანამდე კი 200-ლარიანი ჯარიმა უნდა გადაიხადოს, რომელიც თვალებხატულა პროვოკატორის თანმხლებმა აწოწილმა ფორთოხალჭამია ყმაწვილმა შეადგინა.**

**მამუკა ვაშაკიძე**

ხსოვნა

# ლამარა ბარამია



სამუდამო განშორების უდიდესი ტკივილი დაგვიტოვა ჩვენი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნებისა და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის **ლამარა ბარამიას** გარდაცვალებამ.

საოცარია, ბევრისთვის დაუჯერებელიც კია ქალბატონ ლ. ბარამიას ცხოვრება და საქმიანობა. იმისა მიუხედავად, რომ პოლიტიკური რეპრესიების ხელი მათ ოჯახსაც შეეხო და უდიდესი ტრავმა მიაყენა (მამა ამ რეპრესიებს ემსხვერპლა) ლამარას დედას, ქალბატონ ნინოს, შავიშვილების ღირსეულ წარმომადგენელს და მის ორ ქალიშვილს, ისინი არ გაბოროტებულან. მათ ცხოვრების კრედოდ სიკეთის თესვა აირჩიეს. ამის სანიმუშო მაგალითი თვით ლამარა იყო.

არაჩვეულებრივად გულკეთილი, მეგობრისთვის თავდადებული და მათზე მზრუნველი, ყოველთვის მზად იყო, დახმარების ხელი გაეწოდებინა თავის ირგვლივ მყოფთათვის. იგი ყოველთვის ცდილობდა, ცხოვრებისეული სიძნელეებით დაშორებული ნათესაობა ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა და დაეახლოვებინა.

30 წელი ლამარა ბარამია ინსტიტუტ „მიონის“ უცვლელი სწავლული მდივანი იყო. მან თავისი აქტიური მუშაობით მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა ინსტიტუტის განვითარებისათვის, იქ მომუშავე თანამშრომლებისთვის. ინსტიტუტიც უდიდეს პატივს სცემდა ლამარას.

ლამარამ ბევრი იზრუნა ბაბუის ძმის, ემიგრაციაში (შვეიცარიაში) მცხოვრები პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილის, ხარიტონ შავიშვილის ღვაწლის ფართო მასებისათვის გასაცნობად.

თავისი კეთილი ბუნებისა და განუმეორებელი ადამიანური თვისებების წყალობით მან გასაოცრად ფართო მეგობრების წრე შეკრა ამ სიკეთით დამუხტული. მისი სამეგობროს წევრებში ბევრი ცნობილი მოღვაწე და ხელოვანია. არ შეიძლება, არ აღინიშნოს მისი ერთი უდავოდ დადებითი თვისება — ესაა მისი პრინციპულობა და პირდაპირობა. ის პირში მთქმელი იყო ყველას მიმართ (რანგის მიუხედავად). ამავე დროს ჰქონდა შენდობის არაჩვეულებრივი უნარი.

ლამარა უდიდესი მოტრფიალე იყო ხელოვნების, სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს მთელ დროს ანდომებდა ხელოვნების ნიმუშების, მუზეუმების, გამოფენების დათვალიერებას, კონცერტების, თეატრალური დადგმებისა თუ სხვა კულტურული ღონისძიების ნახვას.

ლამარას უნიკლურმა თვისებებმა განაპირობა, რომ ის ანდამატივით იზიდავდა ადამინებს.

ლამარა არაჩვეულებრივი იყო, უსაზღვროდ პატივისმცემელი მამის ხსოვნისა და თაყვანისმცემელი დედისა.

სამაგალითოა დების, ლამარასა და მერის ურთიერთობა. შესანიშნავი ადამიანური თვისებების მქონე უმცროსი და — მერი, ჩვენი სამეგობროს განუყრელი წევრია.

აი, ასეთი ადამიანი დაგვაკლდა ჩვენ. განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძნობთ ჩვენ იმ შეხვედრების დამთავრებას, რომელიც პერიოდულად იმართებოდა მის სახლში. ეს შეხვედრები „ლამარას სემინარების“ სახელით დამკვიდრდა ჩვენში. ეს შეხვედრები ნათელი წერტილი იყო ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში.

ლამარას გარდაცვალება არა მარტო ჩვენთვის, არამედ ქართული საზოგადოებისათვისაც დიდი დანაკლისია.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩვენო კეთილო მეგობარო. შენი სიცოცხლე შენი ნათესავებისა და მეგობრების ხსოვნაში გაგრძელდება.

უფალს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი სული!

**მეგობრები**



**მეგობრების ჯგუფი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, გულისხმიერებით სავსე ქალბატონი, მათემატიკოსი**

**ლამარა ბარამია**

**გამოსვენება 16 IV, ქიაჩელის ქ. 7ა, 14 სთ.**

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი დრამატურგი**

**ლალი როსება**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◉ იურიდიული კონსულტაცია

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**კითხვა: ვარ 55 წლის, სამსახურიდან გამათავისუფლეს შტატების შემცირების მოტივით, ხშირად ავად ვხდები, მაგრამ მკურნალობისთვის საჭირო თანხები არ გამაჩნია, იქნებ ამიხსნათ რა მომსახურებას მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა?**

**მალხაზ ბოცვაძე**

**პასუხი:** გაცნობებთ რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს გეგმიურ ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ და გადაუდებელ სტაციონალურ მკურნალობას.

გეგმიური ამბულატორიული მომსახურება ითვალისწინებს 2 ძირითად ბლოკს, ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთანის მომსახურებას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ეროვნული კალენდარით გათვალისწინებულ პროფილაქტიკურ აცრებს; სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე დაავადებათა მართვასა და რეფერალს ; ლაბორატორიულ გამოკვლევებს, ექსპრეს-დიაგნოსტიკური მეთოდით (შარდის ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში); ელექტრო კარდიოგრაფიას, სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემას; ბინაზე ვიზიტს.

ექიმის დანიშნულებით კლინიკურ ლაბორატორიულ გამოკვლევებს: სისხლისა და შარდის საერთო ანალიზს.

**ტელ: 595 05-11-77**

◉ კარიკატურისტის თვალით



**— ჩემი ქმარი რომ გახდები, ჩვენ ერთად ვიზრუნებთ შენს ყველა პრობლემაზე.**

**— გმადლობ, საყვარელო, მაგრამ მე პრობლემები არ მაქვს.**

**— მე ხომ გითხარი, ჩემი ქმარი რომ გახდები-მეთქი...**

**ამირან ერაძის ნახატი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### უკეთ იმას სძინავს, ვინც უფრო კარგად იკვებება



**პენსილვანიის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძილი... საკვების ხარისხზეა დამოკიდებული.**

რაციონისა და ძილის ხანგრძლივობას შორის ურთიერთკავშირების გამოკვლევისას მათ დაადგინეს, რომ უფრო ღრმად და დიდხანს იმათ სძინავთ, ვინც უფრო ხარისხიანად იკვებება. სხვებზე უკეთ იმას სძინავს, ვინც ნამცხვარსა და ტკბილეულს არ მიირთმევს. თურმე ძილის ხანგრძლივობას ერთფეროვანი რაციონი, დიეტები და სითხის უკმარისობა ამცირებს.

### „სქელი ქისების“ მფლობელი

**ავტორიტეტულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ მსოფლიოში ცნობილ შემოქმედთა შემოსავალი დაითვალა.**

**გამოცემის მონაცემებით მსოფლიოში ჟურნალისტთა შორის ყოველწლიური შემოსავლის მხრივ მეოთხე წელია ოპრა უინფრის ბადალი არ ჰყავს. 2011 წლის მაისიდან 2012 წლის მაისამდე პერიოდში ამერიკელმა ტელე-და რადიოწამყვანმა საკუთარ რადიოსადგურ „O“-ზე მუშაობით 165 მილიონი დოლარი მიიღო!**

ტელეჟურნალისტ ქალბატონს 160 მილიონი დოლარის შემოსავლით ფეხდაფეხ მისდევს პოპულარული **რეჟისორი მაიკლ ბეი,** რომლის ფილმები „კლდე“, „არმაგედონი“, „პერლ ჰარბორი“ და „ტრანსფორმერები“ დღესაც წარმატებით გადის მსოფლიოს არაერთი ქვეყნის კინოთეატრების ეკრანებზე.

ლიდერთა სამეულის ჩამკეტია „130 მილიონ დოლარიანი“ **კინორეჟისორი სტივენ სპილბერგი.** ლეგენდარული „ყბების“ შემქმნელი ყოველწლიურად უშვებს რამდენიმე ფილმს, რომლებიც არა მარტო წარმატებით სარგებლობენ მაყურებლებში, არამედ „ოსკარის“ ნომინაციებსაც იღებენ.

მეოთხეა „კარიბის ზღვის მეკობრეების“ ყველა ნაწილის პროდიუსერი **ჯერი ბრუკჰაიმერი,** ხოლო ხუთეულის ბოლოში წელიწადში 110 მილიონი დოლარის „მშოვნელი“ რეპერი **დოქტორი დრეა**.

ამდენად, ყველაზე მეტი შემოსავალი ყოველწლიურად აქვთ. 1. ოპრა უინფრის (165 მილიონი დოლარი); 2. მაიკლ ბეის (160); 3. სტივენ სპილბერგს (130); 4. ჯერი ბრუკჰაიმერს (115); 5. დოქტორ დრეს (110); 6. ტაილერ პერის (105); 7. ჰოვარდ შტერნს (95); 8. ჯეიმს პატერსონს (94); 9. ჯორჯ ლუკასს (90); 10. საიმონ ლუკასს (90); 11. გლენ ბეკს (80); 12. ელტონ ჯონს (80); 13. ტომ კრუზს (75); 14. დიკ ვულფს (70); 15. რაშ ლიმბოს (69).

### პაჩი-პუჩი

**კოცნა, მოგეხსენებათ, ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარულის უპირველესი გამოვლენაა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მას კიდევ რამდენიმე სხვა, არანაკლებ სასიხარულო და სასიამოვნო ეფექტიც ახლავს.**

სტრესის საწინააღმდეგო საშუალება ქალისა და მამაკაცის კოცნის დროს თავის ტვინში დიდი ოდენობით ენდორფინები გამომუშავდება, რომლებსაც ასევე „ბედნიერების ჰორმონებს“ უწოდებენ. ესაა ნივთიერება, რომელიც ნარკოტიკული ზემოქმედების ძალით მორფს ორასჯერ აღემატება. ენდორფინები კარგ გუნებაზე გვაყენებენ, სიმსუბუქისა და სიმხნევის შეგრძნებას გვანიჭებენ.

**გახდომის საშუალება.** თუკი ვნებიანი კოცნა 90 წამზე მეტ ხანს გაგრძელდა, ადამიანს გულისცემა უჩქარდება, სისხლში ჰორმონები გამოიფრქვევა, რა დროსაც ცხიმოვანი ქსოვილის დაშლა იწყება. მეცნიერები ამას მარტივად ხსნიან: კოცნა თავის ტვინის სისხლმომარაგებასა და ენდოკრინულ ჯირკვალთა მოქმედებას აუმჯობესებს.



**კარიესის საწინააღმდეგო საშუალება.** კოცნის დროს ნერწყვის გამოყოფა ძლიერდება, რომელიც ბევრ კალციუმსა და ფოსფორს შეიცავს, რომლებიც კბილებს დაშლისგან იცავენ. ამასთან, ნერწყვის დიდი ოდენობა კბილებიდან ნადების მოცილებას უწყობს ხელს, რომელიც, კერძოდ, ბაქტერიებისგან შედგება.

**ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალება.** კოცნის დროს ჩართულია სახის 39კუნთი. ეს კუნთების ტონუსის ასამაღლებელი საუკეთესო საშუალებაა, რომელიც ამავდროულად, კანს გაწელვის საშუალებას არ აძლევს.

**ღრძილების დაავადებისგან დამცველი საშუალება.** სტომატოლოგის თვალსაზრისით, კოცნა — ესაა ღრძილების ვაკუმიანი მასაჟი, რომელიც პარადონტიტისა და ჰინგივიტისგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### გოგა ხაინდრავა აგვისტოს ომთან დაკავშირებით სკანდალურ კითხვებს სვამს!

„8 აგვისტოს რატომ განაცხადა სააკაშვილმა, სეპარატისტებს ვუტევდითო და თუ რუსები შემოსული იყვნენ ცხინვალში, რატომ არ თქვა, რუსეთი დაგვესხა თავს და იმას ვუტევდითო?

გეკითხებით, 8 აგვისტოს რატომ არ იყო რუსების ხსენება? რა დროს გადმოლახა როკის გვირაბი რუსეთის არმიამ?“

**„ასავალ-დასავალი“**

### ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციას გეგმავს!

ეს სკანდალური ინფორმაცია „ქრონიკას“ პრეზიდენტის დაცვის ყოფილმა წევრმა მიაწოდა. ამ ინფორმაციის გაჟღერება იქნება პრევენცია, რომ არ ამუშავდეს მიხეილ სააკაშვილის ფიზიკური განადგურების სცენარი და თუ მერაბიშვილის გეგმა ამუშავდება, ეს ნიშნავს, რომ ახალი ხელისუფლება ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ დადგება, პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალი იქნება და შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგები მივიღოთ.

**„ქრონიკა“**

### იპოთეკურ სესხებზე, შესაძლოა, ზღვრული საპროცენტო განაკვეთი დაწესდეს

იუსტიციის სამინისტრო იპოთეკის სამართალზე მუშაობას ასრულებს. სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ჯგუფი საკანონმდებლო ცვლილებებს ამზადებს, რომელიც მოვალესა და თანხის გამსესხებელს შორის ურთიერთობის ახალ რეგულაციებს ითვალისწინებს. დოკუმენტი მთავრობას განსახილველად უახლოეს პერიოდში წარედგინება, თუმცა, რა ცვლილებებზეა ლაპარაკი, ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. ექსპერტი დემურ გიორხელიძე ამბობს, რომ, როდესაც ერთადერთი საცხოვრებელი აქვს ადამიანს, იქ წესები მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული.

**„რეზონანსი“**

### დათა ახალაია და მეგის ქარდავა ზუგდიდში იმყოფებიან?

ორგანიზაცია „ახალგაზრდული გაერთიანება — მიყვარხარ საქართველო“ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს, რომ დათა ახალაია და მეგის ქარდავა, რომლებიც ძებნაში იმყოფებიან, თავს ზუგდიდს აფარებენ და 19 აპრილს ნაციონალური მოძრაობის პარალელურად, აფხაზეთის დე ფაქტო საზღვართან პროვოკაციის მოწყობას გეგმავენ, რასაც, ცხადია, საპასუხო რეაქციები მოჰყვება.

ამ ინფორმაციას „ნაციონალები“ არ ადასტურებენ, სამაგიეროდ, „ქართულ ოცნებაში“ ეჭვი აქვთ, რომ ნაციონალები ყველაფერზე წავლენ.

**„ახალი თაობა“**

## ყურადღება, ყურადღება!

2013 წლის 19 აპრილს 13 საათზე საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა, ეკონომიკის მეცნიერებათა და პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული ფორუმის სხდომაზე, რომელიც გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის სააქტო დარბაზში (ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №45, მე-6 სართული), განიხილება პროფესორ ლეო ჩიქავას მოხსენება თემაზე:

**„დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი გაღრმავების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემა“.**

ზემოაღნიშნული აკადემიის წევრებს გარდა დასწრება შეუძლია ყველას, ვისაც თან ექნება პირადობის მოწმობა.

**ფორუმის კოორდინატორები:**

**აკადემიკოსები ალექსანდრე კუჭუხიძე, ლეო ჩიქავა, იგორ კვესელავა**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

— **შენ** ვერაფერი გამიგია! — უკივის გაბრაზებული ცოლი ქმარს, — ზოგჯერ ნაღდი მამაკაცივით იქცევი, ხანდახან კი ნამდვილი ქალი ხარ. რაშია საქმე?

— ყველაფერი გენეტიკის ბრალია, — მშვიდად უპასუხებს ქმარი, — ჩემი წინაპრების ნახევარი მამრობითი სქესისა იყო, ნახევარი კი — მდედრობითის!

* * *

**სოლომონ** ბრძენს ორი ქალი ეახლა და ახალგაზრდა მამაკაცი მიუყვანა.

— დიდო მეფეო, — ეუბნება პირველი ქალი, — ეს ახალგაზრდა იურისტი ჩემს ქალიშვილს დაჰპირდა, რომ მასზე დაქორწინდებოდა.



— ტყუილია, მას ჩემს ქალიშვილზე სურს დაქორწინება! — შეაწყვეტინა მეორემ.

ქალები დიდხანს კამათობდნენ. ბოლოს სოლომონმა შეაწყვეტინა მათ კამათი.

— მოიტანეთ ჩემი ხმალი, გასჭერით ეს ვაჟი შუაში და თანაბრად გაუნაწილეთ ამ ქალებს! — ბრძანა მან.

— არ არის ცუდი აზრი, — თქვა პირველმა ქალმა.

მეორემ კი ამაზე უარი განაცხადა, — უმანკო სისხლის დაღვრა არ მინდა და ეს ვაჟი ამ ქალისთვის დამითმიაო.

სოლომონ ბრძენი დაფიქრდა და თქვა:

— იყოს ასე, მიეცით ეს ვაჟი პირველ ქალს. იგი ნამდვილი სიდედრია!

* * *

**ყველა** მამაკაცი ერთნაირია. სახით კი მხოლოდ იმიტომ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ქალებს მათი გარჩევა შეეძლოთ.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com